



ტრენინგის პაკეტი

ტრენინგის პაკეტი მომზადებულია უმაღლესი განათლების, საზღვრისპირა უმაღლესი განათლებისა და ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე პროფესიონალებისა და სტუდენტების უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის

ტრენინგის პაკეტი წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მომზადებული სამუშაო პაკეტი 1-ის შემადგენელ ნაწილს

ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის განვითარებისა და აღიარების ხელშეწყობა სომხეთსა და საქართველოში

კოორდინატორები:

ანკა გრირი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (QAA)	დიდი ბრიტანეთი
მიქაელა მარტინი	განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი (IIEP)	საფრანგეთი

მადლიერების ნიშნად:

ტრენინგის პაკეტში პროექტის პარტნიორების მიერ წარმოდგენილია ნიმუშები სხვადასხვა ქვეყნებიდან:

ჯულია ფორესტი	უნივერსიტეტი „ბას სპა“	დიდი ბრიტანეთი
ირმა გრძელიძე	აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საქართველო
ნინო კოპალეიშვილი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საქართველო
შარისტან მელკონიანი და კეტრინ ბუონი	სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი	სომხეთი
ირინა მელუა	კავკასიის უნივერსიტეტი	საქართველო
მარტინ პესი და ალიდა საჰლი	უნივერსიტეტი „ჟან მულინ ლიონ 3“	საფრანგეთი
სუზანა შამახიანი	რუსულ-სომხური უნივერსიტეტი	სომხეთი
რეიფ სმოლმენი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (QAA)	დიდი ბრიტანეთი
ქრისტოფ ტერასი	მენეჯმენტის განვითარების ევროპული ფონდი (EFMD)	ბელგია
რუბენ თოფჩიანი	განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრი (ANQA)	სომხეთი

პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მხარდაჭერით. წინამდებარე გამოცემა მხოლოდ მისი ავტორების მოსაზრებებს გამოხატავს და მასში გადმოცემული ინფორმაციის რაიმე სახით გამოყენება ევროკომისიის პასუხისმგებლობას არ წარმოადგენს.

სარჩევი

შემოკლებების ჩამონათვალი (აბრევიატურები)	4
აქტივობების ჩამონათვალი	5
ნიმუშების ჩამონათვალი	6
შესავალი	7
ტრენინგის პაკეტის დანიშნულება	7
ტრენინგის პაკეტის გამოყენება	7
ონლაინ მოდულები	10
თავი 1 - უმაღლესი განათლების ხარისხი: კონცეფციისა და ტერმინოლოგიის გაზიარება	13
თავი 2 - შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები	20
თავი 3 - უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და საზღვრისპირა აქტივობები	42
თავი 4 - ტრანს-ნაციონალური (საერთაშორისო) განათლება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	55
ქმედებების დაგეგმვა	Error! Bookmark not defined.
დანართი	Error! Bookmark not defined.

შემოკლებების ჩამონათვალი (აბრევიატურები)

AACSB	წინა-საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო ბიზნეს სკოლების ასოციაცია
AMBA	ასოციაცია „ემბიეი“
ANQA	სომხეთის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრი
ATSU	საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
AUA	სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი
BSU	დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტი „ბას სპა“
CBHE	საზღვრისპირა უმაღლესი განათლება
CU	კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
DAAD	გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური
ECTS	ევროპული კრედიტების დაგროვების და გადატანის სისტემა
EFMD	მენეჯმენტის განვითარების ევროპული ფონდი, ბელგია
EHEA	უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე
ENQA	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია
EQA	გარე ხარისხის უზრუნველყოფა
EQUIS	EFMD-ის ხარისხის ამაღლების ევროპული სისტემა
ESG	ENQA-ის ევროპული სტანდარტები და გზამკვლევები
GATS	გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ
HEI	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
HER	უმაღლესი განათლების მიმოხილვა
ICT	საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები
IIEP	განათლების დაგეგმვის საერთაშორისო დაწესებულება, საფრანგეთი
IQA	შიდა ხარისხის უზრუნველყოფა
JML	უნივერსიტეტი „ჟან მულინ ლიონ 3“, საფრანგეთი
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
NCEQE	საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NQF	ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
OBHE	უსაზღვრო (თავისუფალი) უმაღლესი განათლების ობსერვატორია
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
QA	ხარისხის უზრუნველყოფა
QAA	დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო
Quality Code	დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ხარისხის კოდი
RAU	რუსულ-სომხური უნივერსიტეტი
TEMPUS	ტრანს-ევროპული მობილობის პროგრამა საუნივერსიტეტო განათლებისთვის
TLI	სკოლის შემდგომი (უმაღლესი) საგანმანათლებლო დაწესებულება
TNE	ტრანს-ნაციონალური განათლება
UNESCO	გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
USAID	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
VLE	ვირტუალური სასწავლო გარემო
WSCUC	აშშ-ს კოლეჯებისა და უნივერსიტეტების კომისია (WASC)

აქტივობების ჩამონათვალი

აქტივობა: ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დასანერგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში/ორგანიზაციაში არსებული გასაუმჯობესებელი საკითხები	26
აქტივობა: გარე საჭიროებები და პარტნიორი დაწესებულებების რეაგირება	37
აქტივობა: ინტერნაციონალიზაცია და საზღვრისპირა განათლება ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში	51
აქტივობა: საზღვრისპირა/ტრანს-ნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში	Error! Bookmark not defined.
აქტივობა: საზღვრისპირა/ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფა მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში	Error! Bookmark not defined.
აქტივობა: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პასუხი საზღვრისპირა/ტრანს-ნაციონალური განათლების საჭიროებებზე	Error! Bookmark not defined.
აქტივობა: ტრანს-ნაციონალური განათლების ჩარჩო - რისი შენარჩუნებაა მიზანშეწონილი ტრანს-ნაციონალური განათლების მეთოდოლოგიისთვის	Error!
აქტივობა: ხარისხის უზრუნველყოფის გეგმების განვითარება	Error! Bookmark not defined.

ნიმუშების ჩამონათვალი

ნიმუში: ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები, მეთოდოლოგია და საჭიროებები სოხეთის ამერიკული უნივერსიტეტი (AUA)

ნიმუში: ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები, მეთოდოლოგია და საჭიროებები საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის ხახელმწიფო უნივერსიტეტი (ATSU)

ნიმუში: ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესები, მეთოდოლოგია და საჭიროებები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE)

ნიმუში: გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, მეთოდოლოგია და საჭიროებები პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრი (ANQA), სომხეთი

ნიმუში: უმაღლესი განათლების მიმოხილვა (HER)
დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (QAA)

ნიმუში: ინტერნაციონალიზაცია
რუსულ-სომხური უნივერსიტეტი (RAU), სომხეთი

ნიმუში: ინტერნაციონალიზაცია და საზღვარისპირა განათლება
კავკასიის უნივერსიტეტი (CU)

ნიმუში: პროფესიული აკრედიტაცია
მართვის განვითარების ევროპული ფონდი (EFMD), ბელგია

ნიმუში: ტრანს-ნაციონალური განათლების კონცეფცია, სისტემები და განხილვის საკითხები
უნივერსიტეტი „Bath Spa“ (BSU), დიდი ბრიტანეთი

ნიმუში: ტრანს-ნაციონალური განათლების კონცეფცია, მიდგომები, სისტემები და განხილვის საკითხები
უნივერსიტეტი “ჟან მულინ ლიონი 3“ (JML), საფრანგეთი

ნიმუში: ტრანს-ნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული მარეგულირებელი ჩარჩო
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრი (ANQA), სომხეთი

ნიმუში: გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, მეთოდოლოგია და საჭიროებები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE), საქართველო

ნიმუში: ტრანს-ნაციონალური განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგია, სტანდარტები, კრიტერიუმები და ინდიკატორები
სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი (AUA), WASC Senior College და უნივერსიტეტის კომისია (WSCUC), აშშ

ნიმუში: ტრანს-ნაციონალური განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფა
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (QAA), დიდი ბრიტანეთი

შესავალი

მიმდინარე ტრენინგის პაკეტი მომზადებულია TEMPUS-ის (ტრანს ევროპული მობილობის პროგრამა უნივერსიტეტის სწავლებისთვის) „ტრანს-ნაციონალური განათლების ხარისხის განვითარებისა და აღიარების ხელშეწყობა სომხეთსა და საქართველოში“ (TNE-QA) პროექტის ფარგლებში. ტრენინგის პაკეტის შემუშავებას საფუძვლად დაედო სამუშაო პაკეტი 1-ის ფარგლებში შესრულებული შესაძლებლობების განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები და 2014 წელს განათლებაზე ერთიანი მიდგომის მეთოდით ჩატარებული ტრენინგები.

ტრენინგის პაკეტი მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის ხუთ ონლაინ მოდულს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომლებიც UNESCO-ს განათლების დაგეგმვის საერთაშორისო დაწესებულების მიერ მომზადდა და ტრენინგის სესიებისთვის განახლდა. მოდულების საშუალებით მონაწილეები შეძლებენ ტრენინგის სესიების განხორციელებამდე გაეცნონ უმაღლესი განათლებისა და კერძოდ ტრანს-ნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციებს, მოსაზრებებსა და საუკეთესო გამოცდილებას.

ტრენინგის პაკეტი ასევე მოიცავს სამუშაო სესიების გეგმას, რომლის შინაარსიც სამუშაო პაკეტი 1-ის ფარგლებში ქალაქ ლიონსა და გლოსტერში განხორციელებული ორი სემინარის საფუძველზე მომზადდა. სესიების განხორციელება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებში სახისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემებში ჩართული პროფესიონალებისა და სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვისაა რეკომენდირებული.

ტრენინგის პაკეტის სტრუქტურა არსებული პროცესებისა და ღონისძიებების ადგილზე გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა და ძირითადი ყურადღევა საზღვრისპირა უმაღლესი განათლების/ტრანს-ნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფასა და ინტერნაციონალიზაციაზე გამახვილებული. ტრენინგის პაკეტში ასევე გათვალისწინებულია, თუ რა ნაბიჯების გადადგმა აუცილებელი ტრანს-ნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

ტრენინგის პაკეტის დანიშნულება

ტრენინგის პაკეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებისთვისაა მომზადებული. ტრენინგის პაკეტის ამოცანებში ყურადღება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემებზეა გამახვილებული. ტრენინგის ორგანიზატორებს შეუძლიათ აირჩიონ მათი ორგანიზაციისთვის შესაბამისი აქტივობები.

ტრენინგის პაკეტის გამოყენება

ტრენინგის პაკეტის გამოყენება შესაძლებელია ინდივიდუალურად და კოლექტიურად, როგორც ერთი კონკრეტული ორგანიზაციის, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციის პროფესიონალებისა და სტუდენტების მიერ. ჯგუფური ჩართულობა გაცილებით ეფექტურია, ვინაიდან ხდება მსოფლმხედველობისა და გამოცდილების გაზიარება. ჯგუფური განხილვის შედეგად პროცედურები მონაწილეების მიერ უფრო მყარადაა გაცნობიერებული და ორგანიზაციაში ცვლილებების განხორციელება ეფექტურია კონკრეტული დაწესებულების/ქვედანაყოფის გამოცდილების დონეზე.

ტრენინგის პაკეტის სხვადასხვა ნაწილში მოცემულია კითხვები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ტრენინგის ძირითად თემებთან; მოცემულია სხვადასხვა ამოცანები ჯგუფური განხილვებისთვის; აღწერილია პროექტის სხვადასხვა პარტნიორების მიერ მომზადებული ნიმუშები, რომლებიც განსხვავებულ რეგიონულ კონტექსტში განხორციელებული ღონისძიებების კარგი მაგალითებია. ამოცანები სარგებლიანია როგორც ერთი ორგანიზაციის, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მონაწილეებისგან დაკომპლექტებული ჯგუფებისათვის, ხოლო ამ უკანასკნელის შემთხვევაში კი ყურადღება გამოცდილების შედარებაზეა გამახვილებული. ტრენინგის პაკეტს თან ერთვის მასალა დამატებითი ინფორმაციისთვის ინტერნეტის ბმულების (ლინკების) სახით. დანართში მოცემულია ამოცანების პასუხების სავარაუდო ვერსიები, რომლებიც შემუშავდა TEMPUS -ის პროექტის TNE-QA -ის წინამდებარე სამუშაო პაკეტის აქტივობების შესრულების შედეგად.

პროფესიონალებისა და სტუდენტების მიერ ტრენინგის პაკეტით სარგებლობა

ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურებში ჩართულ სტუდენტებსა და პროფესიონალებს, მათი როლისა და პასუხისმგებლობების მიხედვით შეუძლიათ ინდივიდუალურად ისარგებლონ ტრენინგის პაკეტით და აიმაღლონ ცნობიერება ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. ამის მიღწევა შესაძლებელია: ტრენინგის მონაწილეების მიერ ონლაინ მოდულების შესრულებით; საკუთარი საქმიანობიდან და გამოცდილებიდან გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვით; ტრენინგში წარმოდგენილი ნიმუშების შესწავლით; მონაწილეების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთმანეთთან შედარებით; მოცემულ ამოცანებში ჩამოთვლილი აქტივობების შესრულებით.

ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ ტრენინგის პაკეტით სარგებლობა

ერთ დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის შესაქმნელად მონაწილეები ორგანიზაციაში მათი როლისა და ჯგუფურ სესიებზე მათი პოტენციური წვლილის მიხედვით უნდა შეირჩნენ. ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე მონაწილეებმა ინდივიდუალურად უნდა დაასრულონ ონლაინ მოდულები. ხოლო ონლაინ მოდულების დასრულების შემდეგ ტრენინგის ორგანიზატორები დაიწყებენ ჯგუფურ სესიებს, სადაც ტრენინგის პაკეტის თემების მთავარი კითხვები, ნიმუშები და ამოცანები შესასრულებელ აქტივობებს წარმოადგენს. სესიის მთავარი მიზანია საერთო აზრის შექმნა იმის თაობაზე თუ განვითარების რა ეტაპზეა ტრენინგის მონაწილე ორგანიზაცია და რა მიზნების დასახვაა მომავლისთვის შესაძლებელი. ტრენინგის პაკეტში შემუშავებული მასალა დაეხმარება ორგანიზაციებს სტრატეგიულად მიუდგნენ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს და პრიორიტეტი კონკრეტულად ინსტიტუციონალურ დაგეგმვასა და განვითარების მიმართულებებს მიანიჭონ. მასში მოცემული აქტივობები ხელს უწყობს ეფექტური გუნდური მუშაობის უნარის გამომუშავებას და აქტივობების შესრულების შემდეგ ტრენინგში მონაწილე პროფესიონალები და სტუდენტები აგრძელებენ გუნდურ მუშაობას და საერთო მოსაზრებებზე და მიზნებზე თანხმდებიან. ტრენინგის პაკეტის მეშვეობით შესაძლებელია ინტერაქტიული აქტივობების განხორციელება, რაც საშუალებას აძლევს ჯგუფებს განვითარების შესაძლებლობებზე კრიტიკული აზროვნებით და დებატებით დაკავდნენ. ტრენინგის დასრულების შემდეგ ჯგუფის წევრები მეტად გააცნობიერებენ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეალურ სურათს; უკეთესად ესმით ხარისხის უზრუნველყოფის საჭიროებები; ღიად შედიან კომუნიკაციაში; თავისუფლად უზიარებენ ერთმანეთს ხარისხის

უზრუნველყოფის გამოცდილებას და თანამშრომლობენ მისი გაანალიზების პროცესში; მეტი ცოდნა გააჩნიათ საკუთარ ორგანიზაციებში განათლების დაგეგმვისა და განვითარების შესახებ, კერძოდ ტრანს-ნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ, რაც თავისთავად პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ ტრენინგის პაკეტით სარგებლობა

იმ შემთხვევაში, თუ ტრენინგის მთავარ მიზანს მონაწილეების მიერ ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს, ისინი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან უნდა შეირჩნენ. ეს ხელს უწყობს კონკრეტული დაწესებულების საზღვრებს მიღმა ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი კონტექსტის უკეთესად გაგებას. ისევე როგორც ერთი ორგანიზაციის შემთხვევაში, აქაც ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე მონაწილეებმა ინდივიდუალურად უნდა დაასრულონ ონლაინ მოდულები. ონლაინ მოდულების შესრულების შემდეგ ტრენინგის ორგანიზატორები ჯგუფურ სესიებს დაიწყებენ, სადაც მთავარი თემის კითხვები, წარმოდგენილი ნიმუშები და ამოცანები ძირითად შესასრულებელ აქტივობებს წარმოადგენს. ტრენინგის ორგანიზატორები ინფორმირებული უნდა იყვნენ სპეციფიკური კონტექსტის მქონე განხილვებისთვის დამატებითი დროის საჭიროების შესახებ, კონკრეტული მიდგომების დეტალებისა და იმ პრაქტიკის შესახებ რომელიც საფუძვლად უდევს ტრენინგის მონაწილე ორგანიზაციების საქმიანობას. ტრენინგის მიზანია ორგანიზაციებში არსებული რეალობის გაზიარება, საკითხისადმი განსხვავებული მიდგომების უნარის გამომუშავება, მეტი ანალიტიკურობა სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების დროს და ამ გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობა არსებულ ვითარებებში. დისკუსიების შედეგად შესაძლებელია არსებულ სისტემაში ცვლილებების მოხდენა, მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და ტრენინგის მონაწილე ორგანიზაციებში პილოტირება. ასევე იქმნება დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებიც. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეები გააცნობიერებენ, თუ როგორ განსხვავდება ერთმანეთისგან მათი დაწესებულებების გამოცდილება ინტერნაციონალურ კონტექსტში; გაეცნობიან და საკუთარ პრაქტიკაში გამოიყენებენ სხვა ჯგუფების იდეებსა და გადაწყვეტილებებს; შეისწავლიან ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში შექმნილი კრიზისების დამლევის გზებს და შეიძენენ არსებულ გარემოში ეფექტური რეაგირების უნარს.

TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში ტრენინგის პაკეტი გამოყენებულია სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ჯგუფების ტრენინგებზე სომხეთის, საქართველოს, გერმანიის, საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ორგანიზაციებში რომლების მიზანსაც ამ ქვეყნებში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ტრენინგის პაკეტის დანართში შესაძლებელი იქნება ერთმანეთთან გამოცდილების გაზიარების შედეგად შემუშავებული პასუხების თანდართვა.

განურჩევლად იმისა, ტრენინგის პაკეტით ხელმძღვანელობა ინდივიდუალური იქნება თუ ჯგუფური, მასში ასახული ინფორმაცია და აქტივობები სარგებლიანი იქნება უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების შესახებ ინსტიტუციონალური ცოდნისა და ცნობიერების ასამაღლებლად.

კოორდინატორები

ონლაინ მოდულები

პროფესიონალები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები და ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული არიან ორივე შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში და სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ შემოთავაზებულ ტრენინგში, უნდა დაასრულონ IIEP ტრენინგის მოდულები *ხარისხის გარე შეფასებაზე: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯერების ვერსია*. მოდული მომზარებულია ორ ენაზე, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, სპეციალურად განახლებულია პროექტისთვის IIEP-ის მიერ და წარმოადგენს ტრენინგის პაკეტის შემადგენელ ნაწილს.

ინდივიდუალური მოდულების საშუალებით შესაძლებელია ინტერნაციონალური ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციებთან გაცნობა და შემოთავაზებულია პლატფორმა ეროვნულ კონტექსტში შემდგომი ანალიზისთვის. ონლაინ მოდულების დასრულება ჯგუფურ სესიებამდე მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს ისწავლონ დებატებით საკითხების ერთობლივი ხედვა და ხელს უწყობს განხილვების დროს ჩარჩოს შემუშავების პროცესს, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები არ გასცდებიან შესაბამისობის ზღვარს.

განათლების დაგეგმვის საერთაშორისო დაწესებულების შესახებ (IIEP), საფრანგეთი

IIEP-ის მიზანს იმ ქვეყნების შესაძლებლობების გაძლიერება წარმოადგენს, რომლებიც საკუთარი განათლების სისტემების მართვას გეგმავენ. IIEP 1963 წელს პარიზში UNESCO-ს მიერ დაარსდა. იგი UNESCO-ს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

IIEP ტრენინგებისა და კვლევების ცენტრია, რომელიც განათლების დაგეგმვისა და მართვის საკითხებიზეა სპეციალიზებული. იგი ამას იმ ქვეყნების საჭიროებების გათვალისწინებით ახორციელებს, რომლებსაც სურთ განავითარონ მათი განათლების სისტემები. დღემდე IIEP-ის მიერ 5000-ზე მეტი ექსპერტი/ განათლების სპეციალისტი მომზადდა.

IIEP-მა ონლაინ მოდულები განავითარა მათთვის, ვისაც სურთ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების გაუმჯობესება და მხარს უჭერენ ტრანს-ნაციონალური განათლების პრინციპებს. მოდულები საწყისი წერტილია მათთვის, ვისაც სურთ ტრანს-ნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს შემუშავება. მასში მოცემულია ვრცელი მასალა, რომელიც ტრენინგის პაკეტშია გაერთიანებული. მის ძირითად მიზანს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მხარდაჭერა წარმოადგენს, იმისათვის რომ მათ განავითარონ საკუთარი საგანმანათლებლო სისტემები, ხოლო ყურადღება განათლების დაგეგმვასა და მართვაზეა გამახვილებული.

მოდული 1: ხარისხის უზრუნველყოფის გარე სისტემების არჩევა

მოდულში მკითხველი გაეცნობა თუ როგორ ხდება საერთაშორისო ძალისხმევით განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების მთავრობების მხარდაჭედა შექმნან ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამებისთვის. მკითხველისთვის წარმოდგენილი იქნება ის

ძირითადი გადაწყვეტილებები, რომლებიც შემუშავდება ხარისხის უზრუნველყოფის გარე სისტემის შინაარსისა და ფუნქციების შესაბამისად.

მოდული 2: ხარისხის გაცნობიერება და შეფასება

მოდულის საშუალებით მკითხველი ეცნობა გარე ხარისხის უზრუნველყოფის საკითხის სიღრმეს: რა არის ხარისხის საზომი? მოდულში გადმოცემულია ხარისხის საზომად გამოყენებული ძირითადი მიდგომები, როგორცაა თვისობრივი და რაოდენობრივი მიდგომები, მთავარი ყურადღება კი ხარისხის შეფასების ინდიკატორებს ეთმობა.

მოდული 3: გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის განხორციელება

მოდულში მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ორგანიზების სხვადასხვა ვერსია. იქამდე, ვიდრე არსებობს კონსესუსი პროცესის ორგანიზების მთავარ ელემენტებზე, მის თითოეულ საფეხურზე არსებობს მნიშვნელოვანი ქვეტექსტის მქონე სხვადასხვა ვერსია.

მოდული 4: ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს შექმნა და განვითარება

მოდული აცნობს მკითხველს გარე ხარისხის უზრუნველყოფისთვის დამხმარე სტრუქტურის ან სააგენტოს როლისა და ფუნქციების განხილვის გზებს. ცვლილებები ეხება ადმინისტრაციულ შეხედულებებს, მართვასა და ორგანიზებას და ასევე სააგენტოს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის გზებსა და საშუალებებს.

მოდული 5: საზღვრისპირა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფა და რეგულირება

და ბოლოს, მოდულში ყურადღება გამახვილებულია საზღვრისპირა საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე. მასში წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის და მარეგულირებელი სისტემების შექმნის მრავალი ვერსია. იგი გამომდინარეობს ქვეყნების გამოცდილებიდან და ისეთი შეცვლილი ეროვნული პოლიტიკური მიზნებიდან, როგორცაა მზარდი წვდომა განათლებაზე, დივერსიფიცირებული ტრენინგის შესაძლებლობები, პრივატიზების განვითარება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო და კერძო სექტორებს შორის მასტიმულირებელი კონკურსი.

IIEP-ის მოდულებზე კონსულტაცია შესაძლებელია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე შემდეგი ბმულების მეშვეობით:

ინგლისური ვერსია

www.iiep.unesco.org/en/promoting-quality-and-recognition-transnational-education-armenia-and-georgia-2663

ფრანგული ვერსია

www.iiep.unesco.org/fr/promouvoir-la-qualite-et-la-reconnaissance-de-leducation-transfrontaliere-en-armenie-et-en-georgie

კითხვები

ტრენინგის მოდულების დასრულების შემდეგ მონაწილეები უპასუხებენ შემდეგ კითხვებს:

- რა დამატებითი ცოდნა და გამოცდილება შეიძინეთ მოდულების დასრულების შედეგად?
- რა საკითხებზე შეგიძლიათ ადაპტაცია თქვენთვის ნაცნობ სამუშაო კონტექსტში იმისათვის, რომ შეძლოთ შემდგომი განვითარება? ახსენით რატომ არის ეს თქვენი სიტუაციისთვის შესაფერისი.
- რა შეზღუდვებს აქვს ადგილი თქვენი ორგანიზაციის კონტექსტში? როგორ აისახება ისინი მისი განვითარების პოტენციალზე?

თავი 1 - უმაღლესი განათლების ხარისხი: კონცეფციისა და ტერმინოლოგიის გაზიარება

ტრენინგის პაკეტის ამ ნაწილში მოცემულია ხარისხისა და მისი უზრუნველყოფის კონცეფციების შესავალი. მთავარ მიზანს წარმოადგენს უმაღლესი განათლების ხარისხის შესახებ ხედვების/მოსაზრებების გაზიარება და ხარისხის უზრუნველყოფის საერთო ტერმინოლოგიაზე შეთანხმება. შემდეგ კი განხორციელდება ტრენინგის პაკეტის დანარჩენი ნაწილები, ვინაიდან პირველ რიგში ერთიანი ცნობიერების ჩამოყალიბება აუცილებელი პირობაა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შემდგომი განხილვის, დიზაინის, დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელებისთვის ტრენინგის პაკეტში მოყვანილი პრაქტიკული აქტივობების დახმარებით.

წინამდებარე ნაწილი იწყება კითხვით, თუ როგორია კარგი დაწესებულება, და რა გეგმებია განსახორციელებელი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღნიშნულ ნაწილს საფუძვლად უდევს მოსამზადებელი სამუშაოები, რაც IIEP მოდულების დასრულებას გულისხმობს.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია საერთო ტერმინების ჩმონათვალის მომზადება, რომელთა განმარტებები გასაგები იქნება ყველა დაკავშირებული მხარისათვის. ქვემოთ მოცემულ აქტივობაში შემოთავაზებულია ტერმინები, რომელთა განმარტებებზეც მონაწილეები შეთანხმდებიან იმგვარად, რომ განმარტებები გასაგები იყოს ყველასათვის ეროვნულ კონტექსტში და შეეფერებოდეს მათ სამუშაო გარემოს. მსგავსი აქტივობის შედეგად ყურადღება ხარისხის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ტერმინოლოგიის ფართო აჩვენებს ეთმობა.

ტრანს-ნაციონალურ განათლებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და შესაბამისი განმარტებები მოცემულია მე-4 თავში.

კითხვები

ტრენინგის მონაწილეებმა უნდა უპასუხონ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს და საკუთარი პასუხები შესაბამის სივრცეში ჩაწერონ. მონაწილეები შეიმუშავებენ ინდივიდუალურ მოსაზრებებს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ჯგუფური მუშაობისას ინდივიდუალური დებატების წამოწყებისთვის პლატფორმის შექმნას.

დაასახელეთ სამი მახასიათებელი, რომლებიც, თქვენი აზრით, უნდა არსებობდეს კარგი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებაში:

1
2
3

დაასახელეთ სამი მახასიათებელი, რომლებიც, თქვენი აზრით, გააჩნია კარგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამას:

1
2
3

დაასახელეთ სამი მახასიათებელი, რომლებიც, თქვენი აზრით, თქვენს საგანმანათლებლო დაწესებულებას გამორჩეულს და მიმზიდველს ხდის სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის:

1
2
3

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა თქვენს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში ხარისხის განვითარების მიზნით, რას შეცვლიდით? იქნებოდა შესაძლებელი ამ ცვლილების სწრაფად განხორციელება? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ახსენით, რა შეუშლიდა ამას ხელს?

--

ხარისხის განვითარების რა სამომავლო გეგმები არსებობს თქვენს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/ორგანიზაციაში?

--

იმისათვის, რომ განახორციელოთ ეს გეგმები, კიდევ რა ინფორმაცია, ცოდნა და გამოცდილება იქნებოდა სასურველი ჰქონოდა თქვენს დაწესებულებას ან ორგანიზაციას? შეგიძლიათ ცალ-ცალკე ახსნათ ინფორმაცია, ცოდნა და გამოცდილება შემდეგ თემებთან მიმართებაში:

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფა;
- გარე ხარისხის უზრუნველყოფა;
- უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია;
- საზღვრისპირა საგანმანათლებლო აქტივობები ან ტრანს-ნაციონალური უმაღლესი განათლება;
- ნებისმიერი სხვა თემა (გთხოვთ დააკონკრეტოთ).

ინფორმაცია/ცოდნა/ გამოცდილება	მასთან დაკავშირებული საკითხები	რა სარგებელს მოუტანს ის თქვენს ორგანიზაციას?

იმისათვის, რომ შეძლოთ ამ გეგმების თქვენს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/ორგანიზაციაში განხორციელება, კიდევ რა ინფორმაცია, ცოდნა და გამოცდილება დაგეხმარებოდათ გეგმის განხორციელებაში? შეგიძლიათ ცალ-ცალკე ახსნათ ინფორმაცია, ცოდნა და გამოცდილება შემდეგ თემებთან მიმართებაში:

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფა;
- გარე ხარისხის უზრუნველყოფა;
- უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია;
- საზღვრისპირა საგანმანათლებლო აქტივობები ან ტრანს-ნაციონალური უმაღლესი განათლება;
- ნებისმიერი სხვა თემა (გთხოვთ დააკონკრეტოთ).

გთხოვთ, დაუბრუნდეთ ამ ჩამონათვალს ტრენინგის დასრულების შემდეგ და ჩაწეროთ სწავლის ქულა.

ინფორმაცია/ცოდნა/ გამოცდილება	მასთან დაკავშირებული საკითხები	როგორ შეუწყობს ის ხელს თქვენს როლს?	სწავლის ქულა (უნდა ჩაიწეროს ტრენინგის დასრულების შემდეგ)

აქტივობა: საერთო ტერმინოლოგიაზე შეთანხმება

სესიის შენაარსი

ხარისხის უზრუნველყოფის, ხარისხის მექანიზმებისა და ყველა იმ პროცესთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის სიღრმისეული განხილვა-განალიზება, რომლებიც პროექტის ფარგლებში ხორციელდება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების შექმნის, განვითარებისა და განხორციელებისთვის აუცილებელი ტერმინოლოგიის განსაზღვრა.

ჯგუფური აქტივობა

ტრენინგის მონაწილეები მუშაობენ სამი-ოთხი კაცისგან შემდგარ სამუშაო ჯგუფებში და შემდეგ პასუხებს უზიარებენ მთელ ჯგუფს. მომხსენებელი უნდა დასახელდეს.

ამოცანა 1

აირჩიეთ ტერმინთა ერთი ჯგუფი. მოიფიქრეთ ტერმინების განმარტებები (ასევე შეადარეთ ამ ტერმინთა ჯგუფის დანარჩენ ტერმინებს). ქვემოთ მოცემულია შემოთავაზებული ტერმინოლოგია. შეიძლება შეცვალოთ ეს ტერმინები სხვა ტერმინებით, ამოცანა შესრულებულად ჩაითვლება.

განხილვისა და გადაწყვეტილებების მისაღებად ისარგებლეთ ქვემოთ მოცემული ცხრილით:

ტერმინთა პირველი ჯგუფი	განმარტებები
ხარისხის უზრუნველყოფა (Quality assurance)	
ხარისხის განვითარება (Quality enhancement)	
ხარისხის კულტურა (Quality culture)	
შიდა ხარისხის უზრუნველყოფა (Internal quality assurance)	
გარე ხარისხის უზრუნველყოფა (External quality assurance)	

ტერმინთა მეორე ჯგუფი	განმარტებები
<p>აკრედიტაცია (Accreditation)</p> <p>შეფასება (Evaluation)</p> <p>კოლეგების შეფასება (Review/Peer review)</p> <p>აუდიტი (Audit)</p>	
ტერმინთა მესამე ჯგუფი	განმარტებები
<p>ხარისხის მოდელი (სტანდარტების სისტემა) Quality model (system of standards)</p> <p>შესრულების დონის საზომი (Reference points)</p> <p>სტანდარტები (Standards)</p> <p>გზამკვლევები (Guidelines)</p> <p>საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის სტანდარტი (Benchmark)</p> <p>კრიტერიუმები (Criteria)</p> <p>მოლოდინი (Expectation)</p> <p>ინდიკატორი (Indicator)</p> <p>„თრეშჰოლდი“/ მინიმალური სტანდარტი (Threshold/minimal standard)</p>	

ტერმინთა მეოთხე ჯგუფი	განმარტებები
<p>უმაღლესი საგანმანათლებლო ჩარჩო (Higher education framework)</p> <p>სტუდენტების ჩართულობა Student engagement (representation)</p> <p>დამსაქმებლების ჩართულობა (სამუშაო ადგილზე სწავლა) Employer involvement (work-based learning)</p> <p>პროფესიონალების განვითარება (Staff development)</p> <p>სწავლების ინოვაციური მეთოდები (Innovative teaching methods)</p>	

ამოცანა 2

შეადარეთ თქვენი განმარტებები დანართის 83-ე გვერდზე მოცემულ პასუხებს. მონიშნეთ ძირითადი განსხვავებები. საჭიროების შემთხვევაში, დაუბრუნდით თქვენს განმარტებებს.

ამოცანა 3

დახვეწეთ თქვენი განმარტებები შემდეგ პუბლიკაციებზე მითითებებით.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA)

ხარისხის უზრუნველყოფის ტერმინოლოგია: საერთო ევროპული ღირებულებების მიმართულება

www.enqa.eu/indirme/papers-and-reports/occasional-papers/terminology_v01.pdf

ჰარვი, ლ., 2004-14, *ტერმინთა ანალიტიკური განმარტება*, ხარისხის საერთაშორისო კვლევა

<http://www.qualityresearchinternational.com/glossary/>

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო

ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

www.qaa.ac.uk/about-us/glossary

UNESCO-CEPES

ხარისხის უზრუნველყოფა და აკრედიტაცია: ძირითად ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

<http://unesdoc.unesco.org/images/0013/001346/134621e.pdf>

თავი 2 - შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები

მოცემულ თავში ყურადღება გამახვილებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებზე ეროვნულ და ინსტიტუციონალურ დონეზე. მისი მიზანია, უპირველეს ყოვლისა ქვეყანაში განათლების შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის შესაფერისი სისტემების გამოვლენა და შემდეგ საზღვრისპირა ქვეყნების უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების გათვალისწინება.

აღნიშნული ნაწილი იწყება კითხვით, თუ ხარისხის უზრუნველყოფის რა სხვადასხვა როლი არსებობს დაწესებულებაში. აქ ასევე ისმის კითხვები, ამ ეტაპზე, ხარისხის უზრუნველყოფის რა სისტემები არსებობს ტრენინგის მონაწილეების მიერ წარმოდგენილ დაწესებულებებში და ზოგადად რა სისტემებია ქვეყანაში ეროვნულ დონეზე.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარების პროცესში გათვალისწინებული იყოს მონაწილეების მიერ წარმოდგენილი ქვეყნების საგანმანათლებლო საჭიროებები. პირველ ორ ნიმუშში მოცემულია უმაღლესი განათლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები სომხეთისა და საქართველოს მაგალითზე, რით ხასიათდებიან და როგორ ფუნქციონირებენ ეს სისტემები.

აქტივობების საშუალებით მონაწილეები გაეცნობიან კარგი გამოცდილების ნიმუშებს და საკუთარ დაწესებულებებში, ზოგადად ეროვნულ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის არსებულ სისტემებში გამოავლენენ გასაუმჯობესებელ საკითხებს. პირველი აქტივობის პროცესში მონაწილეებს მოყვანილი ნიმუშების განხილვის დროს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ მათი გამოცდილება; პრიორიტეტულად მიიჩნიონ კარგი გამოცდილება და გაითვალისწინონ დაწესებულების გეგმები გამოვლენილი საკითხების გასაუმჯობესებლად.

გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებას მკაფიო გავლენა აქვს დაწესებულების შიგნით არსებულ პროცესებზე. ამ ნაწილში წარმოდგენილ ბოლო სამ ნიმუშში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს, სომხეთისა და ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ სისტემებზე და აღწერილია კონტექსტი რომელშიც ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები მუშაობენ, მათი ინდივიდუალური სისტემების სპაციფიკა, მეთოდოლოგია და პასუხისმგებლობა რაც მათ გააჩნიათ ეროვნულ დონეზე. აქედან გამომდინარე, ამ ნაწილის მეორე აქტივობაში მონაწილეებს ევალებათ აღწერონ ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები თავიანთ ქვეყნებში, განსაზღვრონ თუ როგორ მუშაობს ეს სისტემები დაწესებულებებში, რა ახალი გამოწვევების და სარგებლის მომტანია იგი.

ნიმუშები და აქტივობები ეხმარება მონაწილეებს იმ პოტენციალის გამოაშკარავებაში, რაც ჯგუფური განხილვების საფუძველზე, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სისტემების განვითარებაზე რეკომენდაციების მომზადებისთვისაა აუცილებელი.

კითხვები

მოცემული კითხვებით სარგებლობა შესაძლებელია ინდივიდუალურად ან სესიის ფასილიტატორების მიერ ჯგუფური დისკუსიის წამოწყებისთვის. ფასილიტატორები ირჩევენ ჯგუფისთვის შესაფერის კითხვას.

- 1 რა არის თქვენი როლი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის სტრუქტურაში?
- 2 რა ფორმალურ კონტექსტში/სტრუქტურების დონეზე ხდება ხარისხის საკითხების გაანალიზება თქვენს დაწესებულებებში? უშუალოდ მონაწილეობთ ამ ანალიზში?
- 3 რა არაფორმალურ კონტექსტში არის ხარისხის საკითხები განხილული თქვენს დაწესებულებაში? უშუალოდ მონაწილეობთ ამ ანალიზში?
- 4 ხარისხის უზრუნველყოფის რა გარე მექანიზმებია თქვენს ქვეყანაში?
- 5 თქვენი აზრით, როგორ გავლენას ახდენს ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემაზე?
- 6 თქვენი აზრით, როგორ უნდა გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომ უფრო მეტად შეუწყოს ხელი თქვენი ქვეყნის დაწესებულებებს ხარისხის განვითარების გეგმით?
- 7 რა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებაა სავალდებულო თქვენს დაწესებულებაში? რა დონეზე ახდენს ეს მექანიზმები გავლენას, ინსტიტუციონალურ თუ პროგრამულ დონეზე? ისინი კონკრეტული დისციპლინებისთვისაა განკუთვნილი? რომელი ორგანიზაცია არის მაკონტროლებელი?
- 8 რომელი არჩევითი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გსურთ დანერგოთ თქვენს დაწესებულებაში? რა დონეზე ახდენს ეს მექანიზმები გავლენას, ინსტიტუციონალურ თუ პროგრამულ დონეზე? ისინი კონკრეტული დისციპლინებისთვისაა განკუთვნილი? რომელი ორგანიზაცია არის მაკონტროლებელი?
- 9 ითვალისწინებს თუ არა თქვენი დაწესებულება მასპინძელი ქვეყნის ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, რა კრიტერიუმებს იყენებთ თქვენ?

ხარისხის უზრუნველყოფის გარე სისტემები, მეთოდები და საჭიროებები

ქვემოთ მოცემული ნიმუშების მაგალითზე მონაწილეებს შეუძლიათ იფიქრონ შემდეგ საკითხებზე. ამ ნიმუშების დეტალური ანალიზი მოცემულია შემდეგ ამოცენაში.

ნიმუში: ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები, მეთოდოლოგია და საჭიროებები

წარმოდგენილია

სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტის მაგალითზე (AUA)

კითხვები

ქვემოთ მოცემული კითხვები მომზადებულია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ისე განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებისათვის.

- არის თუ არა AUA -ში არსებული სისტემები თქვენთვის ნაცნობი, თქვენს დაწესებულებებში არსებული სისტემების მაგავსი? შესაძლებელია მათი შემდგომი განვითარება? რას შეინარჩუნებდით აქედან თქვენი დაწესებულების სისტემისთვის?
- არის თუ არა AUA -ში აღწერილი წყაროები იმის მსგავსი რაც თქვენს დაწესებულებებში არსებობს? შეიძლება მათი შემდგომი განვითარება? რას შეინარჩუნებდით თქვენი დაწესებულების სისტემისთვის?
- შეგიძლიათ ამოიციოთ თქვენი დაწესებულების კონტექსტში ქვემოთ წარმოდგენილი გამოწვევები? გაგაჩნიათ თუ არა რეკომენდაციები ამგვარი გამოწვევების დასაძლევად?

სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტის მაგალითზე წარმოდგენილია უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურების, პროცესების, პოლიტიკისა და პროცედურების მონახაზი და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევები.

- A უნივერსიტეტში არსებული სისტემები:
- a მისია: <http://aua.am/the-aua-mission/>
 - b აკადემიური პროგრამების მიმოხილვის გზამკვლევები: <http://iro.aua.am/learning-assessment/>
 - c აკადემიური მხარდაჭერის (უზრუნველყოფის) ორგანიზაციების გზამკვლევები: <http://iro.aua.am/files/2012/04/Guidelines-for-Review-of-Academic-Support-Units-FINAL.docx>
 - d სტუდენტების სწავლის შედეგების წლიური შეფასების გზამკვლევები:
 - i სტუდენტების სწავლის შედეგების წლიური შეფასება ყველა აკადემიური პროგრამის ფარგლებში;
 - ii გეგმები და ანგარიშები;
 - iii განათლების შეფასების ციკლის დასასრული.
 - e საგანმანათლებლო პოლიტიკის ვებ-გვერდი: <http://aua.am/policies/>
 - f ფინანსური აუდიტი;
 - g ყოველწლიური ანგარიშები:
 - i აკრედიტაცია;

- ii განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- iii სხვადასხვა ასოციაციები.

B

წყარო/გამოყენებული მასალა:

- a AUA-ის მისია: <http://aua.am/the-aua-mission/>
- b ინსტიტუციური კვლევის ოფისი: <http://iro.aua.am/>
- c შეფასებისა და აკრედიტაციის ოფისი;
- d სემინარები, პრეზენტაციები, ტრენინგები, დამატებითი სესიები (მასალების ონლაინ-ბიბლიოთეკა): <http://iro.aua.am/faculty-workshops/>
- e აკრედიტაციის სამეთვალყურეო საბჭო;
- f აკრედიტაციის მთლიანი პროცესი:
 - i აკრედიტაციის სახელმძღვანელო: www.wascsenior.org/content/2013-handbook-accreditation
 - ii აკრედიტაციის სტანდარტები: www.wascsenior.org/resources/handbook-accreditation-2013/part-ii-core-commitments-and-standards-accreditation/wasc-standards-accreditation-2013
- g დეკანები, ასოცირებული დეკანები, პროგრამის თავმჯდომარეები, განყოფილების ხელმძღვანელები;
- h შაბლონები და ფორმები:
 - i სილაბუსის ფორმა: <http://iro.aua.am/files/2012/04/Course-Syllabus-Template-Final.docx>
 - ii სტუდენტთა განათლების შეფასების გეგმისა და აგნარიშის ფორმები: <http://iro.aua.am/files/2012/04/SLAP-Template.docx>
 - iii პროგრამის მიზნების ჩამონათვალის ფორმა, პროგრამების მიხედვით სტუდენტების განათლების შედეგების ფორმა, საგანმანათლებლო კურსის მიხედვით სტუდენტების განათლების შედეგების ფორმა (სილაბუსის ფორმის ნაწილი)
 - iv სტუდენტების გამოკითხვის და მონაცემების ანგარიშით სარგებლობის ფორმები.

C

გამოწვევები:

- a საგანმანათლებლო დატვირთვის პოლიტიკასთან დაკავშირებული ფაკულტეტის დატვირთვა:
 - i შესაძლებლობების გაზრდა/განვითარება
 - ii აკადემიური პროგრამების ადმინისტრაციული უზრუნველყოფა (ბიუჯეტთან კავშირში)
 - iii აუდიტის როლში მომსახურების შესაძლებლობა
- b პროგრამების განხორციელების თანმიმდევრულობა.

ნიმუში: ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები, მეთოდოლოგია და საჭიროებები

წარმოდგენილია

საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის ხახელმწიფო უნივერსიტეტის (ATSU) მაგალითზე

კითხვები

ქვემოთ მოცემული კითხვები მომზადებულია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ისე განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებისათვის.

- არის თუ არა ATSU -ში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის როლები და პასუხისმგებლობები თქვენთვის ნაცნობი, თქვენს დაწესებულებებში არსებულის მაგავსი? შესაძლებელია მათი შემდგომი განვითარება? რას შეინარჩუნებდით აქედან თქვენი დაწესებულებისთვის?
- ხართ თუ არა გათვინცობიერებული თქვენს დაწესებულებაში არსებულ თვით-შეფასების პრაქტიკაში? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ის ნიმუშში აღწერილის ანალოგიურ მიზნებს ემსახურება? შესაძლებელია ATSU -ში არსებული პრაქტიკის შემდგომი განვითარება? აქედან რას შეინარჩუნებდით თქვენს კონტექსტში?

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ATSU) დაარსდა რვა ათეული წლის წინ და ხელს უწყობს:


- კანონების კარგ მართვას;
- ინოვაციურ და ინტერ-დისციპლინარულ კვლევებს;
- აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას;
- ჰუმანისტური, დემოკრატიული, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების დამკვიდრებას;
- წარსული ღირებულებების შენარჩუნებასა და ინოვაციების დამკვიდრებას.

ATSU -ში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სიტემის საშუალებით იგეგმება და იმართება შემდეგი პროცესები:

- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადება აკრედიტაციისთვის;
- პროგრამების შიდა და გარე შეფასების ხელშეწყობა;
- წლიური თვით-შეფასების ანგარიშების მომზადება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცანტრისთვის წარსადგენად;
- ATSU -ს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ევროპული კრედიტების დაგროვების და გადატანის სისტემის (ECTS) შემოღება;
- სწავლების, სწავლის, მართვისა და კვლევის სისტემების ხარისხის გაუმჯობესება გამოკითხვების წარმოების, მონაცემთა გაანალიზების და საკორესპონდენტო რეკომენდაციების გაცემის საშუალებით;
- ATSU -ს პროფესიონალების განვითარების მიზნით ტრენინგების ორგანიზება და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის დამყარება.

სისტემატურად განხორციელებული თვით-შეფასების მიხედვით ჩვენ:

- მიმოვიხილავთ თუ როგორ მივდივართ წინ და რა უნდა გავაკეთოთ გაუმჯობესების მიზნით;
- ვადარებთ ჩვენს შესრულების შედეგებს გასული წლის შედეგებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის ეროვნულ სტანდარტებს;
- ვავლენთ ჩვენი მოსწავლეებისა და სხვა ჯგუფების საჭიროებებს;
- თავს ვუყრით საკუთარი დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას;
- ვემზადებით წლიური მიმოხილვისა და შემოწმებისთვის (ინსპექციისთვის).



თვით-შეფასების პროცესში ყურადღება სხვადასხვა პრობლემებზე, სწავლებაზე, სწავლაზე, ინფრასტრუქტურაზე, მართვასა და კვლევებზეა გამახვილებული.

თვითშეფასების პროცესის საფეხურების შესაბამისი კითხვები:

- დასრულებულია თუ არა აქტივობები?
- რა ზეგავლენა მოახდინეს მათ დაწესებულებაში არსებულ სისტემაზე?
- რამ იმუშავა წარმატებით?
- რამ იმუშავა წარუმატებლად?
- რა ცვლილებების მოხდენაა აუცილებელი იმისათვის რომ გაუმჯობესდეს განათლების დაგეგმვის პროცესი?

აქტივობა: ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დასანერგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში/ორგანიზაციაში არსებული გასაუმჯობესებელი საკითხები

სესიის შინაარსი

ტრენინგის მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დაწესებულებების/ორგანიზაციების ხარისხის უზრუნველყოფის მიმდინარე პროცესების და არსებული სტრუქტურების გამოვლენა და საუკეთესო გამოცდილებასა (რა მუშაობს კარგად) და გასაუმჯობესებელ (რაზე უნდა გამახვილდეს კურადღება) საკითხებზე შეთანხმება.

ჯგუფური აქტივობა

ტრენინგის მონაწილეები მუშაობენ სამი-ოთხი კაცისგან დაკომპლექტებულ ჯგუფებში და შემდეგ მათ პასუხებს აცნობენ მთელ ჯგუფს. მომხსენებელი უნდა დასახელდეს.

ამოცანა 1

დასახელებთ ხარისხის უზრუნველყოფის ხუთი სფერო რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ კარგი გამოცდილების მაგალითებად და სარგებლიანი იყოს გაუმჯობესების პროცესებისათვის (ჩამონათვალი უნდა იყოს იმ დაწესებულებიდან რომელსაც თქვენ წარმოადგენთ). შეადარეთ თქვენი ჩამონათვალი TEMPUS-ის პროექტის პარტნიორების მიერ წარმოდგენილ, დანართის 85-ე გვერდზე მოცემულ ჩამონათვალს.

პრიორიტეტული საკითხი (მიუთითეთ ნომერი)	სფერო	კარგი გამოცდილება ან გასაუმჯობესებელი საკითხები (სხვადასხვა დაწესებულების შემთხვევაში შეგიძლიათ ჩაწეროთ ცალ-ცალკე)

ამოცანა 2

წინამდებარე ნიმუშების მაგალითზე გადაწყვიტეთ კარგი გამოცდილების რა ნიმუშებისა და რა გასაუმჯობესებელი სფეროები შეიძლება განვიხილოთ. დაუბრუნდით პრიორიტეტული საკითხების ჩამონათვალს ამოცანა 1-ში და გადაწყვიტეთ არის თუ არა რაიმეს შეცვლა საჭირო ამოცანა 2-ის საფუძველზე მიღებული დასკვნების შედეგად. შეასწორეთ ცხრილი შესაბამისად.

კარგი გამოცდილება	საგაუმჯობესებელი საკითხები

ამოცანა 3

ამოცანა 1-ში შემუშავებული პრიორიტეტული საკითხების ჩამონათვალის მიხედვით იაზროვნეთ განვითარებისთვის განსახორციელებელ კონკრეტულ აქტივობებზე და პასუხი ჩაწერეთ ქვემოთ მოცემული სამოქმედო გეგმის ფორმაში:

სამოქმედო გეგმის ფორმა						
სფერო (დანომრეთ პრიორიტეტულობის მიხედვით)	მოსალოდნელი შედეგები	მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად განსახორციელებელი ქმედებები (გაითვალისწინეთ ხარისხის უზრუნველყოფის მთლიანი ციკლი)	სამიზნე თარიღები	მოქმედება (როლის და არა კონკრეტული ადამიანის მიხედვით)	წარდგენა	მტკიცებულება (როგორ დაამტკიცებთ ფაქტებით)

ხარისხის უზრუნველყოფის გარე სისტემები, მეთოდოლოგია და საჭიროებები

ქვემოთ მოცემული ნიმუშების გათვალისწინებით, მონაწილეებმა შეიძლება იფიქრონ შემდეგ საკითხებზე. ნიმუშების დეტალური ანალიზი ქვემოთ მოცემულ ამოცანებშია წარმოდგენილი.

ნიმუში: ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესები, მეთოდოლოგია და საჭიროებები

წარმოდგენილია

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ, საქართველო

კითხვები

ქვემოთ მოცემული კითხვები მომზადებულია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ისე განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებისათვის.

- NCEQE -ის აქტივობებიდან რომლები მიგაჩნიათ ყველაზე საინტერესოდ და რომლებს მიიჩნევთ გამოწვევად? ახსენით პასუხი.
- არის თუ არა უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების სისტემა თქვენს დაწესებულებაში არსებულის მაგავსი? რა განსხვავებაა მათ შორის? რა მსგავსებაა მათ შორის?
- გააჩნია თუ არა თქვენი დაწესებულების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოს იგივე პასუხისმგებლობები უმაღლეს განათლებაზე? რა განსხვავებაა მათ შორის? რა მსგავსებაა მათ შორის?

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მისიაა, სახელმწიფოს სტრატეგიისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში გაერთიანების მიზნების შესაბამისად, განათლების ხარისხის კონცეფციის მუდმივი განახლება; სტანდარტების შემუშავება, მათი უზრუნველყოფისა და განვითარების მექანიზმების დანერგვა.

NCEQE ხელს უწყობს უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნას.

NCEQE ხედვას, რომ საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულება იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. ცივილიზებული სამყაროს ფეხდაფეხ, ის ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე და წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2010 წლის 1 სექტემბერს “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე დაარსდა. ცენტრი არის სსიპ- განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უფლებამონაცვლე.

NCEQE -ის მთავარი აქტივობებია:

- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია;
- პროგრამულ დონეზე აკრედიტაცია;
- განათლების აღიარება (უცხოური განათლება, ლიცენზირებული უნივერსიტეტები, ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები);
- აპოსტილი და ლეგალიზაცია;
- ბოლონის პროცესის განხორციელება და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია;
- უმაღლესი განათლებისა და პროფესიული განათლების რეესტრი;
- პროფესიული განათლების სისტემის და შესაძლებლობების განვითარება.

საქართველოს კონტექსტი

NCEQE ძირითად ყურადღებას ხარისხის განვითარებაზე ამახვილებს და ცვლილებებს ახდენს როგორც საკანონმდებლო ისე მისი განხორციელების სფეროებზე.

2010 წლის სექტემბერში ”უმაღლესი განათლების შესახებ” და ”ზოგადი განათლების შესახებ” კანონებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სავალდებულო ლიცენზირებისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის ნაცვლად შემოღებულ იქნა ავტორიზაციის პროცედურა.

ავტორიზაციის სტანდარტები: <http://eqe.ge/res/docs/2014120816204360562.pdf>

ავტორიზაციის პროცედურები: <http://eqe.ge/eng/static/153/accreditation/procedure>

ცვლილებები განხორციელდა აკრედიტაციის შინაარსშიც. იგი ადგენს აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა. ავტორიზაცია სავალდებულოა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ხოლო აკრედიტაცია ნებაყოფლობითია.

აკრედიტაციის სტანდარტები: <http://eqe.ge/res/docs/2014120816393520902.pdf>

აკრედიტაციის პროცედურები: <http://eqe.ge/eng/static/153/accreditation/procedure>

ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი 2004 წელს დაიწყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ხოლო 2006 წლის 27 მარტს ამ მიზნით, დაფუძნდა სსიპ - საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური, რომელიც უფლებამოსილი იყო, განეხორციელებინა ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაცია უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურები და პროგრამების აკრედიტაცია მსგავსი პროცესებია, თუმცა მათი სტანდარტები განსხვავდება. საერთო პროცედურა გულისხმობს:

- აპლიკაციის წარდგენას, რომელსაც წინ უსწრებს თვით-შეფასება;
- კოლეგიალური (კოლეგების) კომისიის შექმნა;
- ადგილზე ვიზიტი;
- კოლეგების ანგარიშის მომზადება და მისი დაინტერესებულ მხარეებზე გაცნობა;
- უწყვეტი კონტაქტი საბჭოსთან;
- გადაწყვეტილების მიღება და გამოქვეყნება.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, მისი დაარსებიდან მოყოლებული, მის ძირითად ფუნქციებში ადგილი ჰქონდა შემდეგ საკანონმდებლო ცვლილებებს:

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის N 120/ნ ბრძანებით. დოკუმენტი აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, ასახავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აყალიბებს, თუ რა ცოდნა, უნარები და ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის, პროფესიული დიპლომის, დიპლომის მისაღებად.
ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო:
http://eqe.ge/eng/education/national_qualifications_framework.
- განათლების ხარისხის განვითარების შესახებ კანონი განსაზღვრავს განათლების ხარისხის განვითარების (შიდა და გარე) საკანონმდებლო მექანიზმებს.
- უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც მიზნად საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციასა და პროგრამულ აკრედიტაციას ისახავდა. ამან ხელი შეუწყო ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის წესებისა და რეგულაციების შემოღებას.
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავებამ და კვალიფიკაციების განსაზღვრამ გზა გაუკვალა საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის სტანდარტებს განათლების დარგში. სექტორული საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის სტანდარტები ჯერჯერობით სამ რეგულირებად პროფესიაშია შემოღებული: სამართალი, მედიცინა და მასწავლებლის განათლება.

ნიმუში: გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, მეთოდოლოგია და საჭიროებები

წარმოდგენილია

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრის მიერ (ANQA), სომხეთი

კითხვები

ქვემოთ მოცემული კითხვები მომზადებულია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ისე განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებისათვის.

- ANQA -ის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რომელი მხარე მიგაჩნიათ ყველაზე საინტერესოდ და რომელს მიიჩნევთ გამოწვევად? ახსენით თქვენი პასუხი.
- როგორ შეედრება ქვემოთ მოცემული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა თქვენს კონტექსტში არსებულს? შესაძლებელია თუ არა ANQA-ს პროცედურების შემდგომი განვითარება? რას გამოიყენებდით აქედა თქვენი დაწესებულებისთვის როგორც კარგი გამოცდილების ნიმუშს?
- რა გამოცდილება გაგაჩნიათ კოლეგების შეფასების შესახებ? რით განსხვავდება იგი ქვემოთ მოცემული სისტემისგან?

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრი (ANQA)

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრი რესპუბლიკის სამთავრობო აქტისა და უმაღლესი დონის დაწესებულებებისგან დამოუკიდებელი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოა. ANQA იღწვის უმაღლესი განათლების უზრუნველყოფისთვის და მისი სისტემატური განვითარებით ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის მოპოვებას, სოციალურ ერთიანობას, კაპიტალს, პასუხისმგებლობას და კონკურენტუნარიანობას.

ANQA-ს ხარისხის განმარტება მიზნისთვის შესაფერისობით ხასიათდება. ამ კონცეფციის თანახმად, გარე შეფასება განსაზღვრავს თუ რამდენად შეესაბამება და პასუხობს დასახულ მიზნებს მომსახურება ან პროდუქტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა ხარისხის უზრუნველყოფა სომხეთის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ფუნდამენტური ელემენტია. ეს არის პროცესი რომლითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაინტერესებულ მხარეებს აჩვენებს რომ აღწევს უმაღლეს სტანდარტებს მისი აქტივობების ყველა ასპექტში. აგნარიშვალდებულების თვალსაზრისით, შიდა ხარისხის უზრუნველყოფა გამოიყენება როგორც შესრულების მონიტორინგის მექანიზმი. შიდა ხარისხის უზრუნველყოფა არის იარაღი რომლითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საზოგადოების საჭიროებებს აკმაყოფილებენ. ის ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძირითადი ავტონომიის შენარჩუნებას.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგად ვიგებთ, რომ საჭიროა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სოციალური პასუხისმგებლობის, ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების გარე შემოწმება. ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმები, სტანდარტები და პროცედურები ამ პროცესების მონიტორინგისთვისაა შემუშავებული.

სომხეთის განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფა გულისხმობს ორი სახის აკრედიტაციას. ინსტიტუციონალური აკრედიტაცია სავალდებულო პროცესია როგორც საჯარო ისე კერძო დაწესებულებებისთვის. მისი საშუალებით ხდება პერიოდული შეფასება იმისა თუ როგორ ფუნქციონირებს დაწესებულება და ემსახურება თუ არა იმ მისიას რისთვისაც დაარსდა. აკადემიური პროგრამების აკრედიტაცია ნებაყოფლობით პროცესია, რომელიც უნდა გაიაროს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ, თუმცა, ის სავალდებულოა საჯარო და კერძო დაწესებულებების სამედიცინო სამეცნიერო პროგრამებისთვის.

აკადემიური პროგრამების აკრედიტაცია უზრუნველყოფს მინიჭებული კვალიფიკაციების აღიარებას ორივე ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, ვალიდური კრედიტების გადატანისა და დაგროვების ჩათვლით. მისი საშუალებით სომხეთის მთავრობის მხრიდან გამოიყოფა ფინანსები. ამდენად, პროგრამული აკრედიტაცია აუცილებელი პირობაა დაფინანსების თვალსაზრისით. ეს არ გულისხმობს ფინანსების (ფულადი სახსრების) ავტომატურად გამოყოფას აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ. ინსტიტუციონალური აკრედიტაცია აკადემიური პროგრამების აკრედიტაციის წინაპირობაა. ANQA რესპუბლიკის სამთავრობო აქტების მიერ ავტორიზებული ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც ზრუნავს გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე.

ინსტიტუციონალური და პროგრამული აკრედიტაცია სამ თანმიმდევრული ფაზად ხორციელდება:

- | | |
|---------------------|---|
| პირველი ფაზა | საგანმანათლებლო დაწესებულების თვით-შეფასება; |
| მეორე ფაზა | დამოუკიდებელ გარე ექსპერტთა პანელის მიერ ადგილზე ვიზიტის განხორციელება; |
| მესამე ფაზა | ექსპერტთა პანელის მიერ საბოლოო ანგარიშის მომზადება და ANQA - ის აკრედიტაციის კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღება. |

თვით-ანალიზი არის პროცესი სადაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და აკადემიური პროგრამების ჩართულობა უნდა იყოს ყოველწლიური. აკრედიტაციის რამოდენიმე ფაზა არსებობს და იწყება თვით-შეფასებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს შიდა შეფასებას იმისათვის, რომ შეაფასოს საფეხურების განხორციელების ეფექტურობა და ამოიცნოს პრობლემები და სფეროები რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას. თვით-შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებისა და კრიტერიუმების მიხედვით გასულ ხუთ წელიწადს ითვალისწინებს. უნივერსიტეტი ითვალისწინებს:

- უნივერსიტეტის გეგმებს და სურვილებს, რა შეასრულონ სტანდარტების ჩარჩოში;
- რა პროცესები ხორციელდება უნივერსიტეტში?

- როგორ უზრუნველყოფს უნივერსიტეტი შემოღებული მექანიზმების ეფექტურობას, როგორ აფასებს იგი ამ მექანიზმებს, რა მონაცემებია მოგროვებული, რა ანალიზი ჩატარდა და მიღებული შედეგების საფუძველზე რა შემდგომ განვითარებას ჰქონდა ადგილი?
- რა ცვლილებები განხორციელდა უნივერსიტეტში არსებული პროცესების გასაუმჯობესებლად?

ANQA, აკრედიტაციის დებულების და პროცედურების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას თვით-შეფასების დამტკიცების ან უარყოფის თაობაზე.

კოლეგების შეფასების პანელი განიხილავს თვით-შეფასების ანგარიშს იმისათვის რომ:

- გამოვლინდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/აკადემიური პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები თითოეული სტანდარტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით, არასაკმარისი დოკუმენტაცია, უცხო და არაორგანიზებული მტკიცებულებები;
- ხაზი გაესვას შემდგომი შესწავლისა და შეფასების სფეროებს;
- გამოიკვეთოს ადგილზე ვიზიტის დროს გამოვლენილი განსახორციელებელი აქტივობები.

სამაგიდო მიმოხილვის დროს, კოლეგების შეფასების პანელი მიისწრაფვის რომ ჰქონდეს პასუხები შემდეგ კითხვებზე, რომლებიც წინასწარი ანგარიშის სამუშაო ვერსიის შემადგენელი ნაწილი იქნება.

- წარმოდგენილია თუ არა, თვით-შეფასების ანგარიშში, სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი საგანმანათლებლო დაწესებულებების სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენით?
- გვაწვდის თვით-შეფასების ანგარიში ანალიზისთვის საკმარის მტკიცებულებებს?
- ავითარებს თუ არა და გამოყენებადს ხდის თვით-შეფასების ანგარიში საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის სტანდარტებს?
- მტკიცებულება სანდო წყაროებიდანაა?
- თვით-შეფასების შედეგად გვაქვს თუ არა აქტივობების ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელი სფეროების გაუმჯობესებისკენაა მიმართულია?

თვით-შეფასებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების პროცესში კოლეგების პანელი ხელმძღვანელობს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლის მართვის პრინციპებით. ადგილზე ვიზიტი განხორციელებულია შემდეგი მიზნით:

- თვით-შეფასების განაცხადის ვალიდობის შემოწმება;
- საშუალებების შეფასება;
- სტუდენტებთან და პროფესიონალებთან ინტერაქტივის შედეგად დამატებითი ინფორმაციის მოპოვება;
- საგანმანათლებლო პროცესებზე დაკვირვება;
- დოკუმენტაციაზე წვდომა;
- სტუდენტების მიღწევების ხელშესახები (მატერიალური) მტკიცებულებების მოძიება.

ექსპერტების საბლოო ანგარიში რამდენიმე ნაწილისგან შედგება. დასკვნები და ფაქტები გამოვლენილია თვით-შეფასების ანგარიშის მიხედვით და ადგილზე ვიზიტის შედეგად. ფაქტები ასევე თანდართული დოკუმენტების განხილვისას ვლინდება, რაც სტანდარტების შეფასებაზე დასკვნების შემუშავებას უწყობს ხელს. გასათვალისწინებელი საკითხებია დასკვნების საფუძველზე შემუშავებული მტკიცებულებები, რის შემდეგაც ხდება გადაწყვეტილების მიღება. ისინი მიაჩნებიან ხელმძღვანელობს თუ არა უნივერსიტეტი სტანდარტებით და რეკომენდაციის საფუძველად გამოდგება. ამ ნაწილში პანელი ამოიცივებს სფეროებსა და საკითხებს რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. მიღებული გადაწყვეტილებებით ვლინდება ითვალისწინებს თუ არა უნივერსიტეტი თითოეული სტანდარტის მოთხოვნებს.

ანგარიშში მოცემულია ნაწილი სახელწოდებით „კოლეგების განხილვა“, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და იმ რეკომენდაციების შედეგად მომზადდა, რომლებიც დაკავშირებული იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ამბიციებთან შესულიყვნენ ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. თავდაპირველად, პანელი მიუთითებს ზოგადად, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტზე დაკვირვებით წინა პლანზე წევს რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს უწყობს უნივერსიტეტს დაუახლოვდეს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეს. ამ რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი შთააგონებს ინივერსიტეტებს გააგრძელონ წამოწყებული საქმიანობა. ზოგადად კი, პანელის რეკომენდაციები უკავშირდება საკითხებს, რომლებიც უნივერსიტეტის მიზნების შედეგად წარმოიქმნა და ბოლონის პროცესის შესაბამისად ცვლილებების განხორციელებას ეხება. ეს საკითხები ეხება სხვებსაც: უფრო მეტად პროდუქტიული უნთიერთობა გარე დაინტერესებულ მხერებთან; საგანმანათლებლო კონცეფციის მეტად მოდერნიზება; სუბსტანციური ძალისხმევა კვლევების მოცულობისა და ხარისხის ზრდაზე; და შემდგომი ინვესტიციები ინტერნაციონალიზაციისთვის¹.

საბლოო ანგარიშის წარდგენის შემდეგ, უნივერსიტეტი წერს შემდგომ გეგმას რეკომენდაციებზე დაყრდნობით. ეს გეგმა შეფასებულია განხილვის პანელის მიერ და გადაგზავნილია აკრედიტაციის კომიტეტზე. უნივერსიტეტი წერს ანგარიშის შემდგომ გეგმას თვეში ერთხელ კონდიციური აკრედიტაციის შემთხვევაში ან ორ წელიწადში ერთხელ სრული აკრედიტაციის შემთხვევაში.²

¹ <http://www.anqa.am/en/Portals/0/ANQA%20Accreditation%20Manual.pdf>

² <http://www.anqa.am/en/Portals/0/STATUTE%20ON%20STATE%20ACCREDITATION.pdf> .

ნიმუში: უმაღლესი განათლების მიმოხილვა (HER)

წარმოდგენილია

დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ (QAA)

კითხვები

ქვემოთ მოცემული კითხვები მომზადებულია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ისე განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებისათვის.

- QAA -ის სისტემის რომელი ნაწილი მიგაჩნიათ ყველაზე საინტერესოდ და რომელი გამოწვევად? ახსენით პასუხი.
- როგორ განსხვავდება QAA მეთოდოლოგია თქვენი დაწესებულების მეთოდოლოგიისგან? QAA -ის მეთოდოლოგიას მეტად განავთარებდით? აქედან რას შეინარჩუნებდით თქვენი სისტემისთვის?
- რა წარმოდგენა გაგაჩნიათ კოლეგების შეფასების პროცესებზე? რით განსხვავდება ის ქვემოთმოცემული სისტემისგან?

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (QAA) განხილვის აქტივობებს დიდი ბრიტანეთის „უმაღლესი განათლების ხარისხის კოდის“ თანახმად ახორციელებს.³ ის დიდი ბრიტანეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ათვლის წერტილს წარმოადგენს, ვინაიდან მისი საშუალებით ვიგებთ თუ რა მოეთხოვებათ (ევალებათ) მათ, რას ელოდნენ ისინი ერთმანეთისგან და რას უნდა ელოდეს საზოგადოება დაწესებულებებისგან. ხარისხის კოდი სარგებლიენია ბრიტანეთის ოთხივე ეროვნებისთვის და ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რომელიც ფუნქციონირებს მის საზღვრებს გარეთ. ის იცავს სტუდენტების ინტერესებს განურჩევლად იმისა თუ სად სწავლობენ ისინი, სრულ განაკვეთიზე თუ ნახევარ განაკვეთზე, ბაკალავრიატში თუ ასპირანტურაში.

ყველაზე უახლესი მეთოდი რომლითაც QAA მუშაობს არის უმაღლესი განათლების მიმოხილვა (HER); ის მოიცავს საფეხურებს როგორც წარმოდგენილია უმაღლესი განათლების მიმოხილვის სახემძღვანელოში.⁴ იგი მოიცავს თვით-შეფასების დოკუმენტის წარდგენას მტკიცებულებებთან ერთად, კოლეგებისაგან შემდგარი განხილვის ჯგუფის (პროფესიონალები და სტუდენტები) მიერ განხორციელებულ მაგიდის ანალიზს, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტს, დასკვნების მომცველი ანგარიშის მომზადებასა და გამოქვეყნებას, და ანგარიშის საუბველზე

-16	მოსამზადებელი შეხვედრა
-12	დოკუმენტის ატვირთვა; მაგიდის ანალიზი
-9	დამატებითი მტკიცებულებების მოთხოვნა
-6	დაწესებულების მიერ დამატებითი მტკიცებულებების ატვირთვა
-4	ჯგუფის პირველი შეხვედრა
0	განხილვის ვიზიტი
+2	წერილის მომზადება ძირითად მიგნებებზე
+6	ანგარიშის სამუშაო ვერსია
+9	დაწესებულების კომენტარი ანგარიშის სამუშაო ვერსიაზე
+12	ანგარიშის გამოქვეყნება
+22	დაწესებულების მიერ სამოქმედო გეგმის გამოქვეყნება

³ ხარისხის კოდის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:

www.qaa.ac.uk/assuring-standards-and-quality/the-quality-code

⁴ უმაღლესი განათლების მიმოხილვის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:

www.qaa.ac.uk/en/Publications/Documents/HER-handbook-14.pdf

მომზადებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას
(იხილეთ კვირების მიხედვით მომზადებული
ვადები).

არსებობს გადაწყვეტილების მიღების ოთხი
სფერო, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო
დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ:
აკადემიური სტანდარტების შემუშავება და
შენარჩუნება, განათლების პირობების
უზრუნველყოფა, ინფორმაციით
უზრუნველყოფა, სტუდენტების განათლების
შესაძლებლობების და განათლების ხარისხის
განვითარება.

აქტივობა: გარე საჭიროებები და პარტნიორი დაწესებულებების რეაგირება

სესიის გეგმა (შინაარსი)

შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფებს შორის კავშირის განხილვა და იმ სარგებლისა და გამოწვევების გამოვლენა, რაც გარე ხარისხის უზრუნველყოფის საჭიროებებს მოაქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფისათვის. განსაზღვრა, თუ რამდენად უკეთესად უწყობს ხელს გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს.

ჯგუფური აქტივობა

მონაწილეები მუშაობენ სამ-ოთხ კაციან ჯგუფებში და შემდეგ შედეგებს აცნობენ მთელ ჯგუფს. მომხსენებელი უნდა დასახელდეს.

ამოცანა 1

გამოავლინეთ სამი მთავარი სარგებელი და სამი გამოწვევა რომლებიც გარე ხარისხის უზრუნველყოფას შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის მოაქვს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების/ორგანიზაციების თვალსაზრისით. ჩაწერეთ ისინი ქვემოთ მოცემულ ცხრილში. შეადარეთ TEMPUS-ის მიერ დანართის 87-ე გვერდზე მოცემულ სარგებელსა და გამოწვევების ნიმუშებს. გამოვლენილია თუ არა TEMPUS-ის პარტნიორების მიერ სარგებელი/გამოწვევები რომლებზეც არ გიფიქრიათ?

სარგებელი	გამოწვევები

ამოცანა 2

გაანალიზეთ ქვემოთ მოცემული ნიმუში. შეათანხმეთ ერთმანეთში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშემწყობი საკითხები და რა ასპექტები წარმოადგენს გამოწვევებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

ხელშემწყობი საკითხები	გამოწვევები

ამოცანა 3

თქვენ რომ გთხოვონ რეგულირების ჩარჩოს საკუთარი ვერსიის შექმნა, იმ სამი სისტემის მიხედვით რომლებიც წინამდებარე ნიმუშში იყო, რას შეინარჩუნებდით თქვენი საგანმანათლებლო დაწესებულების პროცედურისთვის და რას აარიდებდით თავს?

შეინარჩუნებდი	ავარიდებდი თავს (არ გამოვიყენებდი)

ამოცანა 4

შეიმუშავეთ სამი რეკომენდაცია გარე ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებისთვის იმისათვის რომ მეტად შეეწყოს ხელი შიდა ხარისხის უზრუნველყოფას. შეადარეთ თქვენი პასუხები TEMPUS-ის პარტნიორების პასუხებს. TEMPUS-ის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებზე გაცნობის შედეგად, შეცვლიდით თქვენს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს?

რეკომენდაციები

დამატებითი მასალა (წყარო)

ENQA

ევროპის უმაღლესი განათლების გამჭვირვალობა ხარისხის უზრუნველყოფის საჯარო ანგარიშების საშუალებით

[www.enqa.eu/indirne/papers-and-reports/occasional-papers/Transparency per cent20of per cent20European per cent20higher per cent20education per cent20through per cent20public per cent20quality per cent20assurance per cent20reports per cent20\(EQArep\).pdf](http://www.enqa.eu/indirne/papers-and-reports/occasional-papers/Transparency%20of%20European%20higher%20education%20through%20public%20quality%20assurance%20reports%20(EQArep).pdf)

QAA

უმაღლესი განათლების მიმოხილვის მეთოდები დიდ ბრიტანეთში

www.qaa.ac.uk/reviews-and-reports/how-we-review-higher-education

NCEQE

უმაღლესი განათლების კრიტერიუმები და აკრედიტაციის სტანდარტები საქართველოში

<http://eqe.ge/res/docs/2014120816393520902.pdf>

თავი 3 - უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და საზღვრისპირა აქტივობები

ამ ნაწილში მოცემულია ინტერნაციონალიზაციის მიზნები და თუ როგორ შეესაბამება საზღვრისპირა უმაღლესი საგანმანათლებლო აქტივობები ქვეყნის საერთაშორისო უმაღლესი განათლების და დაწესებულების სტრატეგიას. მიზანს წარმოადგენს ცნობიერების შექმნა, თუ რატომია ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვანი, და გამოვლენილი მიზნების მიღწევის გეგმის შემუშავება.

თავი იწყება თუ რა არის ინტერნაციონალიზაციისა და საზღვრისპირა აქტივობების ძირითადი მახასიათებლები, და რა კავშირშია ისინი ხარისხის უზრუნველყოფასთან. ის ასევე კითხვას სვამს ამ სფეროებში არსებულ სარგებელსა და გამოწვევებზე.

პირველ ორ ნიმუშში მოცემულია მაგალითები ინტერნაციონალიზაციის უნივერსიტეტისეულ მიდგომებზე, და უფრო კონკრეტულად კი საზღვრისპირა აქტივობებზე. მესამე ნიმუში ითვალისწინებს პროფესიული აკრედიტაციის აუცილებლობას, განსაკუთრებით კი გლობალური მნიშვნელობის საგნების შესწავლისას.

დღევანდელ გლობალურ სამყაროში არსებობს არგუმენტი, რომ მნიშვნელოვანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გააჩნდეთ ინტერნაციონალიზაციის მკაფიო სტრატეგია, რომელიც უნდა მოიცავდეს საზღვრისპირა აქტივობებს, იქამდე ვიდრე იგი სპეციალური ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს შეიმუშავებს. ამ ნაწილში მოცემული აქტივობა ემსახურება ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიზნების გათვალისწინებას, რაც განხვავებულია ქვეყნებისა და დაწესებულებების მიხედვით. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის შემუშავდეს ინტერნაციონალიზაციის გეგმები რომლებიც მნიშვნელოვანია მონაწილეების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო დაწესებულებების/ორგანიზაციებისთვის.

კითხვები

მონაწილეებს შეუძლიათ კითხვებზე დამოუკიდებლად იმუშაონ ან სესიის ფასილიტატორებს შეუძლიათ ისარგებლონ ამ კითხვებით დისკუსიის წამოსაწყებად. ფასილიტატორი ირჩევს იმ კითხვას რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება ჯგუფს.

- 1 თქვენი აზრით, ინტერნაციონალიზაციის რა ძირითადი მახასიათებლებია? რა სარგებელი და გამოწვევებია?
- 2 თქვენი აზრით, როგორ აღწერდით საზღვრისპირა საგანმანათლებლო აქტივობებს? რა ძირითადი მახასიათებლებია?
- 3 ჩართულია თუ არა თქვენი დაწესებულება საზღვრისპირა უმაღლესი განათლების აქტივობებში? რა პროგრამებში? დადებითი პასუხის შემთხვევაში, უპასუხეთ, როგორ ხდება მისი ხარისხის უზრუნველყოფა? აღწერეთ მისი შიდა და გარე მექანიზმები.
- 4 თქვენი აზრით, რა არის საზღვრისპირა უმაღლესი განათლების აქტივობების შედეგად სარგებელი? რა არის საზღვრისპირა უმაღლესი განათლების აქტივობების თანმხლები გამოწვევები?

ნიმუში: ინტერნაციონალიზაცია

წარმოდგენილია

რუსულ-სომხური უნივერსიტეტის (RAU) მიერ, სომხეთი

კითხვები

ქვემოთ მოცემული კითხვები მომზადებულია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ისე განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებისათვის.

- RAU-ში არსებული სისტემები მსგავსია თქვენთვის ნაცნობი, თქვენს დაწესებულებაში არსებული სისტემებისა, ინტერნაციონალიზაციის აქტივობებთან მიმართებაში? შესაძლებელია მათი შემდგომი განვითარება? აქედან რას შეინარჩუნებდით თქვენი სისტემისთვის?
- შეგიძლიათ თქვენს კონტექსტში ამოიციოთ ქვემოთ მოცემული გამოწვევები? შეგიძლიათ დაამატოთ სხვა რჩევები ამ გამოწვევების დასაძლევად?
- რას ფიქრობთ ქვემოთ მოცემული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ რომლებიც ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავებისთვისაა? შეგიძლიათ ჩამონათვალს დაამატოთ რეკომენდაციები თქვენი გამოცდილებიდან?

რუსულ-სომხური (Slavonic) უნივერსიტეტი (RAU) სამხრეთ კავკასიის რეგიონში ერთერთი წამყვანი უნივერსიტეტია, რომელიც 1997 წელს რუსეთის ფედერაციისა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობების მიერ ერთობლივი ინიციატივით დაარსდა. უნივერსიტეტი ფლობს სომხეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებისგან მინიჭებულ საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების ლიცენზიას. ლიცენცია განახორციელოს კონკრეტული აკადემიური პროგრამები (საბაკალავრო და სამაგისტრო) მინიჭებული აქვს რუსეთის ფედერაციის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ამიტომ ყველა პროგრამა რუსეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებსა და მოთხოვნებს შეესაბამება. უნივერსიტეტების დაარსების შესახებ მთავრობათაშორისი შეთანხმების თანახმად, სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავტომატურად აღიარებს რუსეთის სამინისტროს მიერ შემუშავებული აკადემიური პროგრამების ლიცენზიებს. ასეთი აკადემიური პროგრამების შინაარსის მიხედვით, სტუდენტებს ენიჭებათ ორმაგი დიპლომი, რომელიც დამტკიცებულია ორივე, სომხეთისა და რუსეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მიერ.

პირველი ნაკადი (მიღება) სტუდენტებისა 1999 წლის თებერვალში გაიმართა, სამართლის, საჯარო და მუნიციპალური ადმინისტრაციისა და ჟურნალისტიკის დეპარტამენტებისათვის. მას შემდეგ RAU მუდმივად იზრდება და ვითარდება სწავლისა და კვლევების განხრით. 2005 წელს სომხეთი შეუერთდა ბოლონიის პროცესს. ამჟამად, ხუთი დაწესებულება და 31 დეპარტამენტი ფუნქციონირებს RAU-ში, რომელიც სტუდენტებს საბაკალავრო, სამაგისტრო და ასპირანტურის პროგრამების ფართო არჩევანს სთავაზობს განათლების 70-ზე მეტ დარგში. RAU სტუდენტებს სთავაზობს 18 საბაკალავრო, ოთხ ერთ-ციკლიან სამაგისტრო პროგრამას (ხუთი-ექვს-წლიანი პროგრამები), 42 ასპირანტურის და 50 სადოქტორო პროგრამას. სრულ-განაკვეთიან

პროგრამებთან ერთად, 2013 წლიდან RAU საზოგადოებას სთავაზობს ცხრა საბაკალავრო და ხუთ ნახევარ-განაკვეთიან სამაგისტრო პროგრამას.

უნივერსიტეტს გააჩნია ხუთი კორპუსი:

- ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტი;
- სამართლისა და პოლიტიკის ინსტიტუტი;
- ჰუმანიტარულ ფაკულტეტთა ინსტიტუტი;
- მათემატიკისა და უმაღლასი ტექნოლოგიების ინსტიტუტი;
- მედიისა და რეკლამირების ინსტიტუტი.

ინტერნაციონალიზაციის პროცესი ხორციელდება დეცენტრალიზებული მოდგომების საფუძველზე. ამ პროცესის ზოგად კოორდინაციის საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტი აწარმოებს,⁵ მაშინ როდესაც საერთაშორისო თანამშრომლობის მენეჯერებს RAU-ს ინსტიტუტები და კვლევებისა და ინოვაციების დეპარტამენტები ნიშნავს. უფრო მეტიც, მას მერე, რაც RAU მონაწილეობას იღებს TEMPUS-ის ათ პროექტში, სპეციალური ზოგადი კოორდინატორები შიდა და გარე საკითხებში დანიშნულია რექტორის მიერ, RAU-ში TEMPUS-ის პროექტების განხორციელებისა და მართვისადმი უნივერსალური მიმდგომების უზრუნველყოფის მიზნით.

უფრო მეტიც, თოთოეულ საერთაშორისო პროექტს (TEMPUS, Erasmus Mundus, Erasmus+, Visegrad Foundation, EaP grants, DAAD) ჰყავს თავისი ადგილობრივი კოორდინატორი და სამუშაო ჯგუფი.

2011 წელს საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტის დაარსებამდე, არ არსებობდა სპეციალური სტრუქტურა რომელიც RAU-ში ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის განვითარებასა და საერთაშორისო პროექტების მონიტორინგს განახორციელებდა. ამგვარი სტრუქტურის დანერგვა ეფექტური აღმოჩნდა; ამ ოთხწლიან პერიოდში იმატა უწყვეტი საერთაშორისო პარტნიორობის და პროექტების რიცხვმა, საერთაშორისო მობილობის ჩათვლით.

2011 წლამდე, RAU-ს ჰყავდა 97 პარტნიორი დაწესებულება 14 ქვეყნიდან, რუსეთი მთავარი პარტნიორი იყო. RAU-ს მხოლოდ ცხრა ევროკავშირის პარტნიორი ჰყავდა. RAU მონაწილეობას იღებდა TEMPUS-ის ერთ, და USAID-ის ერთ პროექტში. RAU საზოგადოებას სთავაზობდა ევროპელ პარტნიორთან, შევეიცარიის ბიზნეს სკოლასთან ერთად შემუშავებულ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას,⁶ რომლითაც ის სომხეთში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გახდა, რომელმაც ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა განახორციელა.

2014 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, RAU 41 ქვეყნის 196 პარტნიორ დაწესებულებასთან თანამშრომლობს, აქედან 64 დაწესებულება ევროკავშირის წევრი 24 ქვეყნიდანაა.⁷ უფრო მეტიც, RAU მონაწილეობს TEMPUS-ის 10 პროექტში და ასევე Erasmus Mundus, FP7, DAAD, Twinning, USAID, Visegrad Foundation EaP და სხვა საერთაშორისო პროექტებში.⁸ RAU-ში იზრდება მობილობა და სტუდენტების და

⁵ More information available here: <http://international.rau.am/eng>

⁶ More information available here: <http://bs.rau.am/?cid=13>

⁷ RAU partners: <http://international.rau.am/eng/partners>

⁸ RAU international partners: <http://international.rau.am/eng/international-projects>

პროფესიონალების ნაკადი. მან შეიმუშავა მეორე ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა გლასგოს უნივერსიტეტთან ერთად.⁹

ძირითადი რისკები და ბარიერები რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს პროგრამებისა და მომსახურების ინტერნაციონალიზაციის პროცესში ხვდება წინ, შემდეგია:

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის არ არსებობა

ძალზედ მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის არსებობა, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სტრატეგიის შემავალი ნაწილია. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, მხოლოდ იმიტომ კი არა რომ ის ინტერნაციონალიზაციის კონკრეტულ მიზნებს წევს წინა პლანზე, არამედ იმიტომაც რომ საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი თანამდებობის პირები დანერგავენ ამ უკანასკნელს და აქედან გამომდინარე ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის განვითარება ინსტიტუციური მიზანი გახდება.

მაღალი რანგის მმართველების საქმისადმი გულგრილობა

ხშირად, უმაღლესი რანგის მენეჯერები, რომლებიც ეწევიან საგანმანათლებლო მომსახურებას, თავს არიდებენ ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფას ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისთვის. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში არსებობს განათლების ინტერნაციონალიზაციის შემდგომი განვითარების საჭიროება.

ინტერნაციონალიზაციის პროცესის სუსტი მართვა

ინტერნაციონალიზაციის პროცესის მართვის სისტემის არარსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს ზოგიერთი აქტივობის არაეფექტურობა. ამ პროცესის მართვა შეიძლება ცენტრალიზებული ან დეცენტრალიზებული იყოს, მაგრამ ის უპირობოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებსა და რესურსებთან თავსებადი უნდა იყოს.

აკადემიური და ადმინისტრაციული თანამშრომლების მოტივაციის ნაკლებობა

განათლების ინტერნაციონალიზაციის მიდგომების დანერგვამდე, ნაცად პრაქტიკას წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამშრომლებზე ამ პროცესებთან დაკავშირებული მოვალეობების განაწილება. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სომხეთის უმეტეს საჯარო უნივერსიტეტში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი გადატვირთულია საქმით და მათ გააჩნიათ შრომის ბაზარზე არსებულ საშუალო ანაზღაურებასთან შედარებით დაბალი ანაზღაურება, თანამშრომლებს არ გააჩნიათ მოტივაცია და თავდადება დამატებითი სამუშაოს შესასრულებლად.

გამოცდილების ნაკლებობა

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პერსონალს აქვს მოტივაცია და თავდადება საქმისადმი, დაბრკოლებას პროექტების წინადადების მომზადების, პროექტების მართვის, ინტერ-კულტურული (კულტურათაშორისი) კომუნიკაციების და სხვა სფეროებში გამოუცდელი თანამშრომელი წარმოადგენს. ამავდროულად, სტუდენტების უმრავლესობას საერთაშორისო პროექტებისა და ინიციატივების, აპლიკაციის ფორმებისა და დოკუმენტაციის მომზადებისა და წარდგენის გამოცდილება გააჩნიათ.

⁹ RAU Joint Degree Programmes: <http://international.rau.am/eng/study-abroad/joint-programmes>

ენობრივი ბარიერი

უფრო მეტიც, პროფესიონალებსა და სტუდენტებში არსებობს ენობრივი ბარიერი. თუმცა, ახალგაზრდა პროფესიონალებს გააჩნიათ უცხო ენების საკმარისი ცოდნა. შუახნის პროფესიონალებს არ აქვთ უცხო ენის კარგი ცოდნა, რაც დიდ დაბრკოლებებს ქმნის საერთაშორისო პროექტების ინიცირებასა და განხორციელების პროცესში, მიუხედავად იმისა რომ ამ პერსონალს მინიჭებული მოვალეობების შესრულების საკმარისი შესაძლებლობები და უნარი გააჩნია.

კულტურული განმასხვავებელი ნიშნები (თავისებურებები)

გასათვალისწინებელია, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესი სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენლების ინტენსიურ ჩართულობას გულისხმობს, კულტურულმა თავისებურებებმა როგორც პირადი, ისე ბიზნეს კომუნიკაციების დროს შეიძლება შექმნას ბარიერები.

მობილობის პროგრამებში არასაკმარისი ჩართულობა

პროფესიონალებისა და სტუდენტების მობილობა ინტერნაციონალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. თუმცა, სომხების ევროკავშირის ქვეყნებში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში მგზავრობისა და ცხოვრების მაღალი ხარჯების გათვალისწინებით, ცოტას თუ შეუძლია მობილობის პროგრამებში მონაწილეობა საკუთარი ხარჯებით. უფრო მეტიც, უნივერსიტეტები ხშირ შემთხვევებში არ გამოყოფენ სახსრებს მობილობის ხელშეწყობისთვის. გარდა ამისა, ტრადიციები, კულტურული თავისებურებები და ოჯახი შეიძლება აღმოჩნდეს მობილობის პროგრამებში იშვიათი მონაწილეობის მიზეზები.

ყველა წინამდებარე საკითხის გათვალისწინებით, შემუშავდა შემდეგი ზოგადი რეკომენდაციები:

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება

მმართველების შთაგონება, შეიმუშაონ და დაამტკიცონ სრული ზოგადი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, არა მხოლოდ ინტერნაციონალიზაციის ექსპერტების ჩართულობით, არამედ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის განხორციელების პროცესში.

შესასრულებელი ამოცანების შესაბამისი განაწილება

დაწესებულების საჭიროებებზე და რესურსებზე მორგებული ეფექტური მართვის სისტემის შემუშავება. მცირე ზომის და შედარებით მცირე ფინანსური რესურსების მქონე დაწესებულებების შემთხვევაში რეკომენდირებულია დეცენტრალიზებული მართვის სისტემის შემუშავება და ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებს (განყოფილებებს) შორის ფუნქცია-მოვალეობების განაწილება.

თანამშრომლების ტრენინგის სტრატეგიისა და ინსტრუმენტების განვითარება

იმისათვის რომ დაიძლიოს თანამშრომლების არასაკმარისი გამოცდილების პრობლემა და გაიზარდოს მოტივაცია, რეკომენდირებულია ტრენინგის და გადამზადების სტრატეგიისა და ინსტრუმენტების განვითარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის ადმინისტრაციული და მენეჯერული უნარების განვითარება, იმისათვის რომ მათ ინიციატივა გამოიჩინონ და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში.

თანამშრომლების წამახალისებელი ინსტრუმენტების განვითარება

თანამშრომლების სამოტივაციო და წამახალისებელი ინსტრუმენტები უნდა განვითარდეს, რაც არამხოლოდ ფინანსურ წახალისებას, არამედ საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის შესაძლებლობების უზრუნველყოფასაც გულისხმობს, მაგალითად, როგორცაა თანამშრომლების შეფასების სისტემის შექმნა და შეფასების ქულების მინიჭება.

თანამშრომლების ენობრივი უნარების გაუმჯობესება

თანამშრომლების ენობრივი უნარების განვითარება სპეციალური მიდგომებით, როგორცაა ენის სპეციალური კურსების შექმნა ან ენის ცოდნის დამამტკიცებელი დოკუმენტის (ტესტის ქულა ან ენის ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი) მოთხოვნა/წარდგენა გარკვეული დროის ვადაში.

საერთაშორისო მომსახურება

სპეციალური სტრუქტურების შექმნა ან სპეციალური პერსონალის დანიშვნა ვინც დახმარებას გაუწევს სტუდენტთა ნაკადებს და პროფესიონალებს იმისათვის, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში, მობილობის პროგრამების ჩათვლით. ამ მომსახურებაში უნდა შედიოდეს არა მხოლოდ აკადემიური და ადმინისტრაციული მომსახურება, არამედ ვიზების აღებაზე, საცხოვრებელი ადგილების მოძებნაზე და სხვა საკითხებზე ასისტენტობის გაწევა.

საერთაშორისო პარტნიორების მონაცემთა ბაზის შექმნა

სრული მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც მოიცავს საერთაშორისო პარტნიორების შესახებ ინფორმაციას და არსებული პარტნიორობის დეტალებს. მონაცემთა ბაზა გაზიარებული უნდა იყოს ფაკულტეტების დეპარტამენტებისა და თანამშრომლების მიერ იმისათვის, რომ ინფორმაცია გამჭვირვალე იყოს და მაქსიმალური ასეთი პარტნიორობით სარგებელი. მონაცემთა ბაზა უნდა ახლდებოდეს რეგულარულად.

ვებ-გვერდებისა და ინტერნეტ-პლატფორმების შექმნა

თქვენი ვებ-გვერდის ინგლისური ვერსიის შექმნა და რეგულარული განახლება უცხოელი სტუდენტების და საერთაშორისო პარტნიორების საჭიროებებზე და ინტერესებზე უნდა იყოს მორგებული, რაც შესაძლებელს გახდის შესაბამის ინფორმაციაზე წვდომას და მის მზაობას. მობილობის აქტიური ნაკადის შემთხვევაში, რეკომენდირებულია სპეციალური ინტერნეტ-პლატფორმების შექმნა და ინტერნეტის მეშვეობით მობილობის პროგრამების სისტემატურ რეჟიმში მართვა.

ნიმუში: ინტერნაციონალიზაცია და საზღვარისპირა განათლება

წარმოდგენილია

საქართველოს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ (CU)

კითხვები

ქვემოთ მოცემული კითხვები მომზადებულია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ისე განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებისათვის.

- რით განსხვავდება ქვემოთ აღწერილი მიდგომები და ინტერნაციონალიზაციის აქტივობები თქვენი კონტექსტისგან?
- შესაძლებელია თუ არა მათი შემდგომი განვითარება? რას დაიტოვებდით თქვენი სისტემისთვის?
- პარტნიორობის წამოწყების საჭიროებები მსგავსია თქვენს კონტექსტში არსებული საჭიროებებისა? რა სხვაობაა მათ შორის? რა მსგავსებაა მათ შორის?

კავკასიის უნივერსიტეტს (CU) გააჩნია საერთაშორისო თანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია. ის უზრუნველყოფს ორმაგ ხარისხს, ერთობლივ ხარისხს და გაცვლით პროგრამებს ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის, მედიის, მენეჯმენტის, ტურიზმის, ეკონომიკის, ჯანდაცვის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. მისი 2014-20 წლების განათლების სტრატეგიის გეგმაში ნათლად ასახულია მისი თავდადება ინტერნაციონალიზაციისთვის. უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების უმეტესი ნაწილი შემუშავებულია და აკრედიტირებულია ორივე, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ინგლისური ენის პროფესიული დონე აუცილებელი მოთხოვნაა სწავლების ყველა საფეხურზე; კავკასიის უნივერსიტეტი ახორციელებს ინტენსიური ინგლისური ენის კურსებს ბაკალავრიატის ყველა და მაგისტრატურის ზოგიერთ პროგრამებში.

2005 წლიდან კავკასიის უნივერსიტეტმა დაამყარა პარტნიორული ურთიერთობები 96-ზე მეტ უნივერსიტეტთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, საფრანგეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრიაში, ნიდერლანდებში (ჰოლანდიაში), პოლონეთში, საბერძნეთში, იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და ლიტვაში. უნივერსიტეტმა განახორციელა ხუთი ორმაგი/ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სხვადასხვა საფეხურებზე. კავკასიის უნივერსიტეტმა ეს პროგრამები ზემო ავსტრიის უნივერსიტეტთან, პორტუგალიის ლისბონის უნივერსიტეტთან, საფრანგეთის გრენობლის ბიზნეს სკოლასთან და ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან ერთად განახორციელა. ყველა პროგრამის მიხედვით წარმატებულ სტუდენტებს კვალიფიკაცია ორივე უნივერსიტეტის მიერ ენიჭებათ და მათზე გაიცემა ორი დიპლომი.

პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად ქართულმა უნივერსიტეტებმა საჭიროა გაიარონ სავალდებულო საფეხურები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა შეიტყოს იმ უცხოეთში პროგრამების თაობაზე, რომლების განხორციელებასაც აპირებს უნივერსიტეტი და მან უნდა გასცეს მასზე ნებართვის წერილი. უნივერსიტეტმა ასევე უნდა წარადგინოს წერილი იმ პროგრამის თაობაზე, რომლის განხორციელებასაც ის აპირებს, ასევე პარტნიორებს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ასლი. ორმაგი და გაცვლითი პროგრამები თავიდანვე უნდა დარეგისტრირდეს და შემდეგ მიენიჭოს მათ პროგრამული აკრედიტაცია.

ნიმუში: პროფესიული აკრედიტაცია

წარმოდგენილია

მართვის განვითარების ევროპული ფონდის (EFMD) მიერ, ბელგია

კითხვები

ქვემოთ მოცემული კითხვები მომზადებულია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ისე განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებისათვის.

- რა გამოცდილება გაგაჩნიათ პროფესიული აკრედიტაციის სფეროში? თქვენი საგანმანათლებლო დაწესებულება/ორგანიზაცია მონაწილეობს, ცნობს და მხარს უჭერს ასეთ ნებაყოფლობით აკრედიტაციის პროცესებს?
- თქვენი აზრით, არსებობს თუ არა რისკები, რომლებიც ქვემოთ მოცემული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო პროფესიული აკრედიტაციის უპირატესობებს ანეიტრალებს?
- ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით, რა არის უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მახასიათებლები? ნაცნობია თუ არა თქვენი კონტექსტისთვის ეს მახასიათებლები? რა განსხვავებებია მათ შორის? რა მსგავსებაა?

მართვის განვითარების ევროპულმა ფონდმა (EFMD) 1997 წელს შექმნა ხარისხის გაუმჯობესების ევროპული სისტემა (EQUIS) მისი წევრების სასარგებლოდ, რომლებსაც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და განათლების მართვის საერთაშორისო აკრედიტაცია ესჭიროებოდათ.

იმ დროს, ევროპის ბიზნეს სკოლებისთვის ცნობილი იყო, რომ ორი ძირითადი აკრედიტაციის სქემა ადექვატურ კავშირში არ იყო ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მრავალფეროვნებასთან, ხოლო არსებული აკრედიტაციის სისტემები არ ითვალისწინებდა საერთაშორისო ასპექტებს.

დღეს, EQUIS ერთერთია სამი წამყვანი საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის და აკრედიტაციის მექანიზმიდან. ის მიღებულია 39 ქვეყნის 144 საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ EQUIS შექმნისას ევროპულ მექანიზმად ითვლებოდა, იგი დღეს გლობალური მექანიზმია. იგი სწრაფად ვითარდება ამერიკასა და აზიაში.

EQUIS -ის ერთერთი ყველაზე მთავარი მახასიათებელი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაა, რომელიც ხელს უწყობს მრავალფეროვნებას. თავიდან ერთ ქვეყანაში განვითარებული და შემდეგ საერთაშორისო კონტექსტში მიღებული სხვა აკრედიტაციის სისტემების საპირისპიროდ, EQUIS თავიდანვე ევროპული კონტექსტის მრავალფეროვნებაზე მსოფლმხედველობით შეიქმნა.

EQUIS საგანმანათლებლო დაწესებულების სრულ შეფასებას წარმოადგენს: მთლიანადაა შეფასებული სკოლა, ყველა პროგრამა, კვლევა და აქტივობა. იგი მოიცავს ხარისხის მისანიჭებელ პროგრამებს და არასრული განათლების პროგრამებს, ასევე ადმინისტრაციულ განათლებას.

EQUIS აკადემიურ და კორპორატიულ საჭიროებებს უკავშირდება. იგი ითვალისწინებს ყველა დონის აკადემიურ და კორპორატიულ დაინტერესებულ მხარეს და პიროვნულ განვითარებაზე ყურადღების გამახვილებით აკადემიური და პროფესიული უნარ-ჩვევების ბალანსირებას ახდენს. კორპორატიული კავშირები აკრედიტაციის მთავარი კრიტერიუმებია.

EQUIS შეიძლება მისიაზე ორიენტირებულ აკრედიტაციად მივიჩნიოთ. იგი დაწესებულების სტრატეგიასა და მართვას ითვალისწინებს და კოლეგების მიმოხილვის ჯგუფებში უნივერსიტეტების გამოცდილი დეკანების მონაწილეობას უზრუნველყოფს.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში EQUIS-ის ძირითად კრიტერიუმს ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. აკრედიტაციის პროცესი იმართება საერთაშორისო გამოცდილების მქონე ჯგუფის მიერ. იგი ყურადღებას დივერსიფიკაციაზე, კონკეტულად კურიკულუმის სტრუქტურასა და შინაარსზე, ფაკულტეტის შემადგენლობასა და მის განვითარებაზე ამახვილებს.

EQUIS ხარისხის უზრუნველყოფის და აკრედიტაციის სისტემადაა მიჩნეული. იგი შერჩევით აუდიტსა და გეგმიურ, ამომწურავ აუდიტს აბალანსებს და აუდიტორების ნაცვლად კონსულტანტებს იყენებს.

აქტივობა: ინტერნაციონალიზაცია და საზღვრისპირა განათლება ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში

სესიის შინაარსი

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის აქტივობების განხილვა. ინტერნაციონალიზაციის მიზნებზე შეთანხმება და ინტერნაციონალიზაციის პროცესების წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო ქმედებები, საზღვრისპირა ქმედებების ჩათვლით.

ჯგუფური აქტივობა

მონაწილეები მუშაობენ სამ-ოთხ კაციან ჯგუფებში და შემდეგ მათ შედეგებს აცნობენ მთელ ჯგუფს. მომხსენებელი უნდა დასახელდეს.

ამოცანა 1

ქვემოთ მოცემული სიიდან პრიორიტეტულობის მიხედვით აირჩიეთ ინტერნაციონალიზაციის ხუთი მიზანი (საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სხვა მიზნებიც).

პრიორიტეტულობის ნომერი	ინტერნაციონალიზაციის მიზნების ჩამონათვალი:
	საერთაშორისო და ეროვნული (ადგილობრივი) სტუდენტების მოზიდვა, მაგალითად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში განხილვა
	ინსტიტუციური პროფილის განვითარება
	მრავალ-ენობრიობის ხელშეწყობა; სოციალური, მოქალაქეობრივი და კულტურათაშორისი კომპეტენციების განვითარება; დასაქმება
	კურსდამთავრებულებში აუცილებელი კომპეტენციის ზღვარის დაწესება
	სამუშაო ბაზარზე ახალი შესაძლებლობების შექმნა, დასაქმების განვითარება და ხელშეწყობა
	ფულადი სახსრების მოგროვება (მოზიდვა); ფინანსური საკითხები
	სამთავრობო შეთანხმებების საშუალებით სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარება
	სამომავლო აკადემიური/კვლევითი/პროფესიული კავშირების მხარდაჭერა
	კულტურათაშორისი გამოცდილება
	ევროპული/საერთაშორისო უმაღლესი განათლების განზომილების (dimension) განვითარება.

ამოცანა 2

აირჩიეთ წინამდებარე ხუთი პროორიტეტული მიზნიდან ორი და განსაზღვრეთ რომელ სფეროშია მეტად საჭირო ინვესტიციების და ქმედებების განხორციელება ამ მიზნების მისაღწევად (თქვენ შეიძლება უკვე განახორციელებთ ინვესტირება ან აპირებთ მის განხორციელებას) და რა სახის ინვესტიციები იქნებოდა თქვენი კონტექსტისთვის შესაფერისი. ეს სფეროები შეიძლება საზღვრისპირა აქტივობებთან იყოს კავშირში.

ინტერნაციონალი- ზაციის მიზნები	ინვესტირების სფეროები	საჭირო ქმედებები

ამოცანა 3

იხელმძღვანელებთ წინამდებარე ნიმუშებით და გადაწყვიტეთ, რომელ მთავარ საკითხებს აირჩევდით თქვენი სამომავლო გეგმისთვის და აქტივობების განსახორციელებლად. ყურადღება ინტერნაზიონალიზაციაზე გაამახვილეთ.

ძირითადი საკითხები (პუნქტები)

--

დამატებითი მასალა (წყარო)

ინტერნაციონალური (საერთაშორისო) უმაღლესი განათლების ცენტრი
საზღვრისპირა უმაღლესი განათლება
www.bc.edu/research/cihe/cbhe/

უსაზღვრო (თავისუფალი) უმაღლესი განათლების ობსერვატორია (OBHE)
საერთაშორისო კორპუსი: ინფორმაცია და განვითარება
www.obhe.ac.uk/documents/view_details?id=894

ბრიტანეთის საბჭო და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური
ტრანს-ნაციონალური განათლების ზეგავლენა მასპინძელ ქვეყნებზე
www.britishcouncil.org/sites/britishcouncil.uk2/files/tne_study_final_web.pdf

ბრიტანეთის საბჭო
მოსალოდნელი საკითხების ფორმირება, ტრანს-ნაციონალური განათლების განვითარება:
ინფორმაცია, განმარტებები, შესაძლებლობები და ზემოქმედების ანალიზი
www.britishcouncil.org/sites/britishcouncil.uk2/files/the_shape_of_things_to_come_2.pdf

გლობალური უმაღლესი განათლება
აშშ-ის კორპუსი საზღვარგარეთ: მიზნობრივი კვლევის შედეგები
<http://globalhighered.wordpress.com/2010/05/02/u-s-branch-campuses-abroad-results-of-a-targeted-survey/>

უმაღლესი განათლების აკადემია
ტრანს-ნაციონალურ განათლებაში სტუდენტების განათლების პროცესებისა და
მასწავლებლების განვითარება
<https://www.heacademy.ac.uk/enhancing-student-learning-and-teacher-development-transnational-education>

თავი 4 - ტრანს-ნაციონალური (საერთაშორისო) განათლება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები


ტრანს-ნაციონალური (საერთაშორისო) განათლება და საზღვრისპირა უმაღლესი განათლება მრავალი ავტორიტარული ნიშნით ხასიათდება.

UNESCO-ს და ევროპის საბჭოს „ტრანს-ნაციონალური უმაღლესი განათლების“ 2011 წლის განმარტება

'ყველა სახის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, კურსი, საგანმანათლებლო მომსახურება (დისტანციური განათლების ჩათვლით), როდესაც მოსწავლეები იმყოფებიან აღიარების მიმნიჭებელი დაწესებულებისგან განსხვავებულ ქვეყანაში. ასეთი პროგრამები შეიძლება ეკუთვნოდეს ქვეყნის (სახელმწიფოს) განათლების სისტემას, რომელიც განსხვავდება იმ ქვეყნისგან რომელშიც იგი ფუნქციონირებს, ან შეიძლება ფუნქციონირებდეს ნებისმიერი ეროვნული სისტემისგან დამოუკიდებლად.'

საზღვრისპირა უმაღლესი განათლების განმარტება, UNESCO/OECD გზამკვლევი, 2005 წელი

'საზღვრისპირა უმაღლესი განათლება გულისხმობს უმაღლეს განათლებას, როდესაც მასწავლებელი, სტუდენტი, პროგრამა, დაწესებულება ან საკურსო მასალა კვეთს ეროვნულ იურიდიულ საზღვრებს'.



ტრანს-ნაციონალური (საერთაშორისო) უმაღლესი განათლების განმარტება, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (QAA)

'განათლება და განათლების შესაძლებლობები, რომლებიც უზრუნველყოფილია ერთზე მეტ ქვეყანაში. დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ხარისხის კოდის კონტექსტში, ის გულისხმობს დიდი ბრიტანეთის ხარისხის მიმნიჭებელი ორგანიზაციის მიერ უმაღლესი განათლებით უზრუნველყოფას, რომელიც ბრიტანეთის საზღვრებს გარეთ ხორციელდება ხშირად განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ, რომლებიც განსხვავდება ხარისხის მიმნიჭებელი ორგანიზაციებისგან.'

ამ ნაწილში გათვალისწინებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემები ტრანს-ნაციონალური განათლების უზრუნველყოფისათვის.

მნიშვნელოვანია ორი რამის გათვალისწინება, იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების გათვალისწინება, რომლებიც ტრანს-ნაციონალური უმაღლესი განათლების უზრუნველყოფას მასპინძლობენ და პარტნიორების გათვალისწინება, რომლებიც სტუდენტებს კვალიფიკაციებს სხვა ქვეყნიდან და არა იმ ქვეყნიდან ანიჭებენ რომლებშიც ისინი სწავლობენ („მშობლიური დაწესებულებები“). ქვემოთ მოცემულ ნიმუშებში წარმოდგენილია სისტემების მაგალითები, რომლებიც უნივერსიტეტებში ინსტიტუტებისა და სააგენტოების მიერ შეიქმნა ტრანს-ნაციონალური უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მხარდასაჭერად.

საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა გააჩნდეთ მკაფიო ცნობიერება ტრანს-ნაციონალური განათლების უზრუნველყოფის სახეობების შესახებ, რომლებსაც

საზღვარგარეთ არსებული დაწესებულებების მაგივრად ახორციელებენ. ისინი, და ეროვნული სააგენტოები, ნათლად უნდა ასახავდნენ ხარისხის უზრუნველყოფის არსებულ პროცედურებს და ითვალისწინებდნენ თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ეს პროცედურები. ჯგუფური სამუშაოს პირველი აქტივობისას მუშავდება კითხვები და მონაწილეებს ევალუბათ პრიორიტეტი მიაჩნიათ სპეციფიკურ სფეროებს, რომლებიც ფუნდამენტურია ტრანს-ნაციონალური უმაღლესი განათლების წარმატებული განვითარებისთვის.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას აქვს გავლენა საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ პროცესებზე, და იგი ტრანს-ნაციონალური უმაღლესი განათლების მსგავსია. აქედან გამომდინარე, ამ ნაწილის მეორე აქტივობა მოუწოდებს მონაწილეებს გაითვალისწინონ მათი ქვეყნის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები და როგორ გავლენას ახდენენ ისინი ტრანს-ნაციონალური უმაღლესი განათლების მიღებასა და ინსტიტუციურ დონეზე განხორციელებაზე, და შემდეგ ეტაპზე სთავაზობს მონაწილეებს გაითვალისწინონ თუ როგორ უნდა განვითარდეს მეტად ეს საჭიროებები იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ამ ნაწილის წინამდებარე ჯგუფური აქტივობის დროს გამოვლენილ ფუნდამენტურ სფეროებთან გამკლავებაში.

დასასრულს, პარაგრაფში აქცენტირებულია შეფასების რამდენიმე კრიტერიუმი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია (ან რიგ შემთხვევებში უნდა იქნას გამოყენებული) ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის განვითარებაში. წარმოდგენილი კრიტერიუმები ხელს უწყობს ტრანსნაციონალური განათლების მიწოდებაში ჩართულ სასწავლებლებს (მასპინძელი დაწესებულებები) ამ სისტემათა ჩამოყალიბებაში და უზრუნველყოფს მათ გზამკვლევით, თუ როგორ იქნა გამოყენებული ჩარჩოები იმ სხვა, პროვაიდერი ქვეყნების პარტნიორთა მიერ, რომლებიც უზრუნველყოფენ კვალიფიკაციებს.

შეფასების ჩარჩოს ათვისებისას მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ რა შესაბამება და არა იმ რეგულაციურ სისტემას, რომელშიც მუშაობენ პარტნიორები. სპეციფიკური ქმედება უზრუნველყოფს რამდენიმე შეფასების კრიტერიუმის განსაზღვრას და ადასტურებს მათ შესაბამისობას სასწავლებელსა და მონაწილეთა ეროვნულ ჩარჩოებთან.

კითხვები გასააზრებლად

მონაწილეებს აქვთ კითხვებზე ინდივიდუალურად მუშაობის შესაძლებლობა. ასევე შესაძლებელია კურატორების მიერ კითხვების, როგორც განმუხტვის საშუალებების გამოყენება ჯგუფურ დისკუსიებში. სესიის კურატორი განხილვისთვის შეარჩევს იმ კითხვებს, რომლებიც ყველაზე მეტად მიესადაგება სამუშაო ჯგუფს.

1. როგორ უკავშირდება ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ხარისხის უზრუნველყოფის უფრო ფართო პროცესებს როგორც სასწავლებლის, ისე ეროვნული მასშტაბით?

2. რა სახის მუშაობას აწარმოებთ ამაჟამად საერთაშორისო მასშტაბით თქვენს პარტნიორ სასწავლებლებსა და ნაციონალურ სააგენტოებთან, ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად?
3. რა ინფორმაციას და მონაცემებს ფლობთ ტრანსნაციონალურ განათლებასთან დაკავშირებით როგორც თქვენს სასწავლებლებში ისე ეროვნული მასშტაბით?
4. რა განსხვავებები უნდა აითვისონ თავიანთ მიდგომებში იმ პროვაიდერი და მიმღები უმაღლესი განათლების სასწავლებლებმა, რომლებსაც აქვთ შეხება ტრანსნაციონალურ განათლებასთან?
5. უნდა არსებობდეს თუ არა განსხვავებები პროვაიდერი და მიმღები გარე ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციების მიდგომებში ტრანსნაციონალური განათლების განხორციელებისას? თუ უნდა არსებობდეს, განმარტეთ რა განსხვავებებზეა საუბარი?
6. შეფასების რა კრიტერიუმებს იყენებთ ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად? რით განსხვავდება ისინი, ან როგორ ხდება მათი ადაპტირება თქვენს მიერ გამოყენებული სხვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებთან?
7. რა ანგარიშს და რა სხვა სახის შედეგს ელით პროვაიდერი და მიმღები ქვეყნების ორგანიზაციების მიერ ტრანსნაციონალური განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებიდან?

საზღვრებს გარეთ უმაღლესი განათლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფა/პროვაიდერი სასწავლებლების მიერ განხორციელებული ტრანსნაციონალური განათლება

ქვემოთ მოყვანილი შემთხვევების შესწავლის გადაწყვეტისას მონაწილეებს შესაძლოა გაუჩნდეთ სხვადასხვა ასპექტებზე მსჯელობის სურვილი. შემთხვევის შესწავლის შემდგომი ანალიზი მოცემულია მომდევნო ამოცანებში.

ნიმუში: ტრანსნაციონალური განათლების კონცეფციები, მიდგომები,

სისტემები და კროიტერიუმები

წარმოდგენილია

Bath Spa უნივერსიტეტის (BSU) მიერ, გაერთიანებული სამეფო

ნიმუში: ტრანსნაციონალური განათლების კონცეფციები, მიდგომები, სისტემები და კროიტერიუმები

წარმოდგენილია Bath Spa უნივერსიტეტის (BSU) მიერ, გაერთიანებული სამეფო კითხვები განსჯისათვის

კითხვები თანაბრად რელევანტურია ტრანსნაციონალური განათლების სასწავლებლებისა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების/ორგანიზაციების წარმომადგენელი მონაწილეებისათვის

- არის თუ არა BSU-ში ადგილზე არსებული სისტემები იმ სისტემათა მსგავსი, რომლებიც ნაცნობია თქვენი კონტექსტისთვის? რა შესაბამისობაშია ინტერნაციონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფა და ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების აქტივობები?
- გაქვთ თუ არა წარმოდგენილი, რა სახით შეიძლება სისტემათა შემდგომი განვითარება? რისი შენარჩუნება შეგიძლიათ თქვენი სისტემებისათვის?
- შეგიძლიათ თუ არა ქვემოთ იდენტიფიცირებული გამოწვევებიდან იმ გამოწვევათა ამოცნობა, რომლებიც თქვენი კონტექსტისთვის არის დამახასიათებელი? შეგიძლიათ თუ არა დამატებითი წინადადებებით უზრუნველყოფა ამ გამოწვევათა დასაძლევად?

Bath Spa უნივერსიტეტს (BSU) აქვს სამი ფართო მიზანი, რომელსაც წვლილი შეაქვს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ მისეულ ხედვასა და სტრატეგიაში

- **BSU** მსოფლიო უნივერსიტეტის პროფილის დამკვიდრება.
- იმ კურსდამთავრებულთა განვითარება, რომლებიც საზოგადოებრივად ჩართულ გლობალურ მოქალაქეებად ითვლებიან
- საზღვარგარეთელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდა

ტრანსნაციონალური განათლების აქტივობა უფრო ვრცელი ხედვისა და სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია. BSU დონის პროცესები განვითარებულია ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ხელმძღვანელობის გზამკვლევის შესაბამისად, კერძოდ, გაერთიანებული სამეფოს ხარისხის კოდექსის უმაღლესი განათლების თავი B10 შესაბამისად. ხარისხის კოდექსი ტრანსნაციონალური განათლებისათვის პაზუსიმგებლობას მკაფიოდ ანიჭებს ხარისხის გამცემი

უმაღლესი განათლების სასწავლებელს. ხარისხის კოდექსი უზრუნველყოფს ხელმძღვანელობას საერთო მოლოდინის შესაბამისად გათვალისწინებული ინდიკატორების მეშვეობით. ინდიკატორები გამოიყენება პროცედურებისა და პროცესების დასადგენად. ისინი განვითარებულია ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს გზამკვლევის შესაბამისად.

BSU ფლობს რამოდენიმე პროცედურას, რომელიც ტრანსნაციონალური განათლების უზრუნველყოფის მართვას ახორციელებს. ამ პროცედურათა განმტკიცება, იმის დასტურია, რომ ისინი ზომიერი და პროპორციული უნდა იყოს. BSU-მ (გაერთიანებული სამეფოს ტრანსნაციონალური განათლებისა და კოლაბორაციული სწავლების უზრუნველყოფაში ჩართულ სხვა უნივერსიტეტებთან ერთად) თანამშრომლობის რისკების შესაბამისი და პროპორციული პრაქტიკისა და პროცედურების ვრცელი სპექტრი განავითარა.

კოლაბორაციული სწავლების კომიტეტის ამოცანაა დარწმუნდეს, რომ BSU-სა და სხვა თანამშრომელ პარტნიორებს შორის შეთანხმებებით დაცულია BSU ხარისხის სტანდარტი და ამ ხარისხისათვის დარეგისტრირებული სტუდენტების სასწავლო შესაძლებლობების ხარისხი. კოლაბორაციული სწავლების საბჭოს მიერ განვითარებული სისტემები მოქნილი და თავსებადია. რაც იძლევა რისკებთან დაკავშირებული შეფასებების გაკეთებისა და საჭიროების შემთხვევაში დამატებით ზომების მიღების და სხვადასხვა ქმედებებისთვის ბიძგის მიცემის შესაძლებლობას. ასევე, მსუბუქი მიდგომა შესაძლოა დადასტურებული იყოს დაბალი რისკების წინადადებით. პროცესები უნდა იყოს ეფექტური და გავლენიანი. ამავდროულად, ტრანსნაციონალურ განათლებასთან ადაპტირებისა და ცვლილების პროცესში შენარჩუნდეს მოქნილობა. ტრანსნაციონალური განათლების თანამშრომლობის განვითარების პროცესის დამტკიცება ოთხ ეტაპს მოიცავს. სტრატეგიული ზედამხედველობა, სავალდებულო მზაობა, (აკადემიური, ფინანსური, საკანონმდებლო) ბიზნეს შემთხვევისა და აკადემიური დასაბუთების გათვალისწინება და მათი დასაბუთება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხორციელდება. პროცესის დამასრულებელი ეტაპი არის დასაბუთების ღონისძიება, რომელსაც ხშირად ატარებს პარტნიორი ექსპერტთა ჯგუფთან ერთად, რომელიც დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის აკადემიური შტატისგან და რომელშიც გამოყენებულია გარე მოკლევადიანი შედეგები და წევრი სრუდენტების მოწოდებული სტუდენტების ხედვებიდან.

შეთანხმებისა და თანამშრომლობის დადგენის შემდეგ იწყება BSU-ს წლიური ციკლის მიმოხილვის, გააზრებისა და მონიტორინგის პროცესი. ეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებია, რომლებიც მთელი სწავლების პროცესებს მართავს. ეს პროცესები ციკლურია და შერეულია ისეთ არსებულ მოდელებთან, როგორცაა ყოველწლიური მონიტორინგი, ანგარიშის გარე შემოწმების პროცესი; გააზრება და პასუხი, მოდულის შეფასება და პარტნიორის რეგულარული მიმოხილვა.

გამოწვევები, რომლებსაც აწყდება კოლაბორაციული სწავლების კომიტეტი დამახსიათებელია გაერთიანებული სამეფოს ბევრი სასწავლებლისთვის, რომლებიც დაკავებულნი არიან ტრანსნაციონალური განათლებით და ფლობენ ამ

გამოწვევებისთვის თავის გართმევის შემოთავაზებები. ტრანსნაციონალური განათლება ძალზედ ფრთხილ გაანგარიშებას და წინასწარ დაგეგმვას ითხოვს, რადგან ის კომპლექსური და ხარჯიანი აქტივობაა და ხშირად უფრო მეტ დროს ითხოვს, ვიდრე წინასწარ იყო გათვალისწინებული. მნიშვნელოვანია, რეალისტური დროის განრიგის შესაბამისი მოლოდინების შემოთავაზებულ პარტნიოებთან ერთად მართვა, მიზნისა და უზრუნველყოფის საერთო გაგების განტკიცებისათვის. სასწავლებლები უნდა იცნობდნენ თითოეულ ინიციატივადურ პროექტთან დაკავშირებულ რისკებს და იყვნენ მზად მათ შესამსუბუქებლად. პერსონალისა და პროგრამების მართვასა და მიწოდებაში ჩართული პარტნიორების შტატის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. ასევე მნიშვნელოვანია გარე ექსპერტებისა და სტუდენტების ჩართვა დასაბუთების პროცესში.

ტრანსნაციონალურ განათლებაში ჩართულ სტუდენტთა გამოცდილებებს ორი ტიპის ძირითადი გამოწვევა ხვდებათ. პირველ რიგში უნდა დავერქმუნდეთ, რომ სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი თავის დიპლომისგამცემი უნივერსიტეტების სტუდენტებად იდენტიფიცირება, აქვთ უმაღლესი განათლების სასწავლებლის დიპლომის მიღების შესაძლებლობა, თავს თვლიან უნივერსიტეტის გაერთიანების ნაწილად (მაშინაც კი, როდესაც საზღვარგარეთ სწავლობენ). ასევე აცუილებელია დასაბუთება, რომ დაცულია სასწავლებლებს შორის (დიპლომის გამცემი და უზრუნველმყოფელი სტრუქტურები) პარიტეტი სტუდენტთა გამოცდილებასთან კავშირში, და რომ ის შესაბამისია. გათვალისწინებულია შესაძლო სხვაობები ვირტუალური სწავლის გარემოს, სასწავლო რესურსების, აკადემიური წლის სტრუქტურისა და განხორციელების მეთოდების კუთხით.

ნიმუში: ტრანსნაციონალური განათლების კონცეფციები, მიდგომები, სისტემები და კრიტერიუმები

წარმოდგენილია

Jean Moulin Lyon 3 (JML) უნივერსიტეტის მიერ, საფრანგეთი

კითხვები

შემთხვევის შესწავლა: ტრანსნაციონალური განათლების კონცეფციები, მიდგომები, სისტემები და კრიტერიუმები

წარმოდგენილია Jean Moulin Lyon 3 (JML) უნივერსიტეტის მიერ, საფრანგეთი

კითხვები განსჯისათვის

კითხვები თანაბრად რელევანტურია ტრანსნაციონალური განათლების სასწავლებლებისა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების/ორგანიზაციების წარმომადგენელი მონაწილეებისათვის

- არის თუ არა JML -ში ადგილზე არსებული სისტემები იმ სისტემათა მსგავსი, რომლებიც ნაცნობია თქვენი კონტექსტისათვის? რაში შეესაბამება ინტერნაციონალიზაციისა და ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლების აქტივობები?
- გაქვთ თუ არა წარმოდგენილი, რა სახით შეიძლება სისტემათა შემდგომი განვითარება? რისი შენარჩუნება შეგიძლიათ თქვენი სისტემებისათვის?
- შეგიძლიათ თუ არა ქვემოთ იდენტიფიცირებული ინტერნაციონალიზაციის საშუალებებიდან/ხერხებიდან იმ საშუალებების ამოცნობა, რომლებიც თქვენი კონტექსტისთვის არის დამახასიათებელი? შეგიძლიათ თუ არა დამატებითი შემფასებელი ინდიკატორების უზრუნველყოფა ამ გამოწვევათა დასაძლევად?

ჟან მულენ ლიონის უნივერსიტეტში (Jean Moulin Lyon 3) ამჟამად სწავლობს 112 ქვეყნის წარმომადგენელი 4, 4000 სტუდენტი; ამათგან 275 PhD უცხოელი სტუდენტი – 208 პარტნიორი ერაზმუსი და 254 შეთანხმებით ერაზმუსი – 47 პროგრამა 1950 დარეგისტრირებული სტუდენტით - 709 ფრანგი სტუდენტი, რომლებიც მიდიან საზღვარგარეთ.

ჟან მულენის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიდგომის განმამტკიცებელი მიზნებია:

- უნივერსიტეტის ფუნქციის განვითარება გლობალურ სისტემაში;
- სხვა უნივერსიტეტებთან რელევანტური თანამშრომლობის განვითარება ტრენინგისა და დასაქმებასთან დაკავშირებული აქტივობების პირობებში;
- უნივერსიტეტის მიმზიდველობის ხელშეწყობა ლიონ 3 სატრენიგო პროგრამების შეთავაზებით, არაფრანგულენოვანი სტუდენტების მიღება (SELF: სწავლება ინგლისურად, ლიონი საფრანგეთი)

- კოლექტიურ პროექტებში ჩართვის, კვლევისა და შეფასების კათედრების ერთობლივი ორგანოების საერთაშორისო კვლევების განვითარება

თანამშრომლობის პროგრამები შესაძლებელია იყოს: გადატანილი პროგრამები, ორმაგი დონის პროგრამები და ევროპული პროგრამები, როგორცაა ტემპუსი, JMD აქტივობა 2 erasmus mundus.

გადატანილი პროგრამები ეხება საზღვარგარეთის პარტნიორ ინსტიტუტების სამაგისტრო ან სტუდენტის დონეებს საზღვარგარეთის პარტნიორ სასწავლებლებში. ამ პროგრამების მიზანია სტუდენტების უზრუნველყოფა უნარებით, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი, როგორც ბიკულტურულ პროფესიონალებად ჩამოყალიბებას, ინსტიტუციონალური, ინდუსტრიული და კომერციული კავშირების ჩამოყალიბების შესაძლებლობით, იმ ქვეყნებთან, სადაც მიმდინარეობს პროგრამა. მაგალითად, აზიის, შუა აღმოსავლეთის, აღმოსავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები.

ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ჟან მულენის უნივერსიტეტში

ხარისხის წესები, რომლებსაც მისდევს ფრანგული უნივერსიტეტი და რომლებიც უკავშირდება ტრანსნაციონალურ განათლებას არ არის ასახული ხარისხის კოდექსში. გაერთიანებული სამეფოსგან განსხვავებით არ არსებობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურების ჩამოყალიბების ვალდებულება, რომელიც ტრანსნაციონალური განათლების მხარდაჭერას უზრუნველყოფს. ხარისხის უზრუნველყოფა ჟან მულენის უნივერსიტეტის შტატის თითოეული წევრის ვალდებულებაა. ის არ განეკუთვნება რომლიმე კონკრეტულ ჯგუფს ან სტრუქტურას.

საზღვრებს გარე დიპლომების დანერგვის შიდა პროცედურები გადაწყვეტილების მიღების რამდენიმე დონეს მოიცავს. პირველ რიგში წინადადება მომდინარეობს პროფესორისგან, რომელმაც უნდა დაადასტუროს პროექტის ხარისხი ჟან მულენის საერთაშორისო ურთიერთობებითა და საკანონმდებლო მომსახურებით. წინადადება უნდა იყოს დამტკიცებული როგორც ფაკულტეტის ისე უნივერსიტეტის საბჭოს მიერ.

ახალი პროექტების ათვისების პროცესთან ერთად, განათლების კომისიის მიმდინარე დიპლომები წლიური ან ბიენალური აუდიტის საგანს წარმოადგენს. განათლების კომისიაში შედის ყველა რელევანტური საგნის პროფესორები, გაუმჯობესების კომისია, სადაც შედიან ამ სფეროს გამოცდილების მქონე გარე აკადემიკოსები. კომისიები ამოწმებენ დიპლომის ხანგრძლივობას და აკვირდებიან მათ მიმდინარე შესაბამისობას ინდუსტრიასთან მიმართებაში.

სხვა პროვაიდერებთან თანამშრომლობაში გაცემული დიპლომები ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილია. თანამშრომლობის შეთანხმებები რეგულირდება შეთანხმებათა გზამკვლევით, რომელიც ადგენს წესებს, მრავალი პროვაიდერის მიერ გაცემული დიპლომების ხარისხისა და სტანდარტების განსამტკიცებლად.

- აკადემიური წესები არეგულირებს სტუდენტებისთვის შეთავაზებული სწავლების ხარისხს, საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსს; და სტუდენტებისა და აკადემიური შტატის შერჩევის პროცესს.
- ადმინისტრაციული წესები ამტკიცებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტებისათვის შეთავაზებული ინფორმაციის ხარისხს. მათ შორის, შერჩევასა და მიღებას, შემოწმების პირობებს, სააპელაციო პროცესებს და სხვ.
- ფინანსური წესები ადასტურებს დაგეგმილი ეკონომიკური მოდელების რელევანტურობას დიპლომებისათვის.

ჟან მულენის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფის საზომი ინსტრუქციები მოიცავს:

- თანამშრომლობის შეთანხმების მეზობრი: უზრუნველყოფს ზოგად ჩარჩოს, რომლის ადაპტირება შესაძლებელია ინდივიდუალური თანამშრომლობის შესაბამისად (ეხება იდენტურობის, საკანონმდებლო საკითხებს, აკადემიურ შინაარსს, პერიოდულ მიმოხვილვებს და სხვ.)
- შეთანხმების მემორანდუმის ნიმუშები.
- შეთანხმების აპლიკაცია (კავშირშია სტუდენტთა გაცვლასა და სპეციფიკურ პროგრამულ მოწყობასთან)
- საერთაშორისო კოოპერაციის გადაწყვეტილებები, ამჟამად რესტრუქტურირებულია ბიზნესის პროცესის მენეჯმენტის სისტემის გამოყენებით.
- სტატისტიკის დეპარტამენტი (უზრუნველყოფს ინსტრუქციებს ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის, რაც უკავშირდება დასაქმებას, წარმატების მაჩვენებლებს, გადახდის უწყისებს და სხვ.).

აქტივობა: ხარისხის უზრუნველყოფის შეთანხმებები საზღვრისპირა/ტრანსაციონალური განათლებისათვის და მათი გაუმჯობესების გზები უმაღლესი განათლების სასწავლებლებში სესიის მასშტაბი

ტრანსნაციონალური განათლების იმ ტიპების დადგენა, რომლებსაც ფლობენ სასწავლებლები და ადგილზე ხარისხის უზრუნველყოფის შეთანხმებათა შერჩევა მათ შესაბამისად. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების დადგენა და გარკვევა, რისი გაუმჯობესება არის შესაძლებელი.

ჯგუფში მუშაობა

მონაწილეები სამუშაოდ იყოფიან მცირე სამ-ოთხ კაციან ჯგუფებში და აწვდიან უკუკავშირს მთელს ჯგუფს. ირჩევენ მომხსენებელს.

ამოცანა 1

შესაძლებელია განსხვავდებოდეს უმაღლესი განათლების სასწავლებლებისა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოების მიხედვით.

უმაღლესი განათლების სასწავლებლებისათვის: ჩამოთვალეთ ტრანსნაციონალური განათლების ტიპები, რომლებიც უმაღლესი განათლების სასწავლებელთა კომპეტენციაში შედის. შესავსებად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

გარე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისათვის: ჩამოთვალეთ ტრანსნაციონალური განათლების ტიპები, რომლებიც იმ ქვეყნებში/რეგიონებშია ხელმისაწვდომი, სადაც მუშაობთ. შესავსებად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

ტრანსნაციონალური განათლების ტიპები	ტიპოლოგია (მეორე ამოცანის მაგალითზე)

ამოცანა 2

ჩასვით ზემოდ დაგენილი ზომები ქვემოთ მოცემული კატეგორიების/აღმწერების მიხედვით. განსაზღვრეთ, ზემოდ მონიშნული რომელი კატეგორია შეესაბამება ამ ზომებს. გაითვალისწინეთ პროვაიდერი და პროგრამული დონე და მონიშნეთ გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ ტიპი (ინფორმაციისთვის იხ. გვერდი 55).

საზღვრებს გარეთ პროვაიდერის მობილობის ტიპოლოგია (ნაითი, 2005)

კატეგორია	ფორმის აღწერილობა/მობილობის ტიპები
ფილიალი კამპუსი	პროვაიდერი A ქვეყნიდან აფუძნებს სატელიტ კამპუსს ქვეყანა B – ში ამ ქვეყნის სტუდენტებისათვის კურსებისა და პროგრამების უზრუნველსაყოფად (შესაძლებელია ქვეყანა A იმ სტუდენტების ჩართვა, რომლებიც სემესტრს/კურსს საზღვარგარეთ გადიან). კვალიფიკაციას ანიჭებს A ქვეყნის წარმომადგენელი პროვაიდერი
დამოუკიდებელი ინსტიტუტი	უცხოელი A პროვაიდერი (ტრადიციული უნივერსიტეტი, კომერციული კომპანია ან ფილიალი/ქსელი, ქვეყანა B -ში აფუძნებს ავტონომიური უმაღლესი განათლების სასწავლებელს კურსების/პროგრამებისა და

	დიპლომების შეთავაზების მიზნით
შენაძენი/შერწყმა	უცხოელი A პროვაიდერი შეისყიდის ქვეყანა B-ის ადგილობრივი უმაღლესი განათლების სასწავლებლის ნაწილს ან სრულ 100 პროცენტს
სასწავლო ცენტრი/სასწავლო სივრცე	უცხოელი A პროვაიდერი აფუძნებს სასწავლო ცენტრებს ქვეყანა B-ში სხვადასხვა კურსების/პროგრამების შემსწავლელი სრულდენტების ხელშეწყობის მიზნით. სასწავლო ცენტრები ან დამოუკიდებლად არსებობენ ან ქვეყანა B-ს ადგილობრივ პროვაიდერებთან თანამშრომლობენ
ფილიალები/ქსელი	სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი „საჯარო და კარმო“ „ტრადიციული და ახალი“ პროვაიდერები თანამშრომლობენ პარტნიორობის ახლებური სტილით ქსელების/დაწესებულების დაფუძნებისა და კურსებისა და პროგრამების მიწოდებისათვის ადგილობრივ და უცხო ქვეყნებში დისტანციური ან პირისპირ სწავლების მეთოდის გამოყენებით.
ვირტუალური უნივერსიტეტი	პროვაიდერი, რომელიც ახორციელებს კრედიტ კურსებს და პროგრამებს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებისთვის დისტანციური სწავლების მეთოდით და რომელიც ჩვეულებრივ არ ახდენს პირისპირ სწავლების მომსახურების ხელშეწყობას.
საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ კატეგორია	

საზღვრისპირა პროგრამების მობილობის ტიპოლოგია

კატეგორია	ფორმის აღწერილობა/.მობილობის ტიპები
ფრანშიზის შეთანხმება	შეთანხმება, რომლის საფუძველზეც A რესურს ქვეყნის პროვაიდერი ანიჭებს უფლებამოსილებას B ქვეყნის წარმომადგენელ პროვაიდერს განახორციელოს მისი კურსი/პროგრამა/მომსახურება ქვეყანა B-ში ან სხვა ქვეყნებში. კვალიფიკაციას ანიჭებს პროვაიდერი ქვეყანა A - ში. ჩვეულებრივ, ეს კომერციულად მომგებიანი შეთანხმებაა

დაწვევით	გარემოება, რომლის დახმარებითაც A რესურს ქვეყნის პროვაიდერი თანამშრომლობს ქვეყანა B-ის პროვაიდერთან არტიკულაციის სისტემის განვითარების მიზნით; რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ კურსის კრედიტები ქვეყანა B -ში და რესურს A ქვეყანაში. რესურს ქვეყნის პროვაიდერი ანიჭებს მხოლოდ ერთ კვალიფიკაციას. როგორც კომერციული, ისე არაკომერციული ბაზისის გამოყენებით.
ორმაგი/ერთობლივი დონე	შეთანხმება, რომლის საფუძველზეც სხვადასხვა ქვეყნების პროვაიდერები თანამშრომლობენ კონკრეტული პროგრამის შეთავაზების მიზნით, რომლის გავლაც სტუდენტს ანიჭებს კვალიფიკაციას თითოეული პროვაიდერისგან. ან სტუდენტი იღებს ერთობლივ დიპლომს თანამშრომელი პროვაიდერებისგან,აკადემიური გაცვლის საფუძველზე.
არტიკულაცია	სხვადასხვა ქვეყნებში პროვაიდერებს შორის მიღწეული სხვადასხვა ტიპის შეთანხმებები სტუდენტებს რთავს ნებას კურსებისთვის/შემოთავაზებული პროგრამებისათვის კრედიტების მოპოსაპოვებლად. კურსები/პროგრამები მოწოდებულია თანამშრომელი პროვაიდერების მიერ.
დადასტურება	სხვადასხვა ქვეყნების პროვაიდერებს შორის შეთანხმებების დადასტურება, რაც მიმღები B ქვეყნის პროვაიდერს ნებას რთავს გასცეს A ქვეყნის პროვაიდერის კვალიფიკაცია რესურს ქვეყანაში.
ვირტუალური/დისტანციური	შეთანხმებები, რომელთა საფუძველზეც პროვაიდერები ახორციელებენ სტუდენტებისათვის კურსებს/პროგრამებს სხვადასხვა ქვეყნებში დისტანციური და ონლაინ სწავლების მეთოდის გამოყენებით. შესაძლებელია სტუდენტებისთვის გარკვეული პირისპირ მომსახურების ხელშეწყობა ადგილობრივი სასწავლო ან მხარდამჭერი ცენტრების დამხარებით.

გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ განათლების მეთოდები

მეთოდი 1 საზღვრისპირა მომარაგება (დისტანციური განათლება/ ვირტუალური სწავლების დაწესებულებები, განათლების პროგრამული უზრუნველყოფა და კორპორაციული ტრენინგები კომპიუტერული ინფორმაციის ტექნოლოგიების მიწოდებით)

მეთოდი 2 – რესურსების ქვეყნების გარეთ გამოყენება (სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლა)

მეთოდი 3 - კომერციული კონტექსტი (ადგილობრივი უნივერსიტეტები ან სატელიტი კამპუსები, ენის ტრენინგ ცენტრები, კერძო ტრენინგ კომპანიები) ან პროგრამული ან ინტიტუციონალური მობილობა

მეთოდი 4 ადამიანური რესურსები (პროფესორები, მასწავლებლები, საზღვარგარეთ დასაქმებული მკვლევარები).

ამოცანა 3

შეადარეთ თქვენი კონტექსტით დადგენილი შეთანხმებები საზღვრისპირა/ტრანსნაციონალური განათლების შეთანხმებებს ზემოთ მოცემული შემთხვევათა შესწავლის მიხედვით. მონიშნეთ აღწერილი შეთანხმებები და შეაჯამეთ ძირითადი საკითხები თქვენს სასწავლებელში/ორგანიზაციაში მომავალი განვითარების განსამტკიცებლად.

შეთანხმების შესწავლა	ტიპოლოგია (მეორე ამოცანის მიხედვით)	ძირითადი საკითხები
BSU		
JML		

ამოცანა 4

განსაზღვრეთ ტრანსნაციონალური განათლების 5 ფუნდამენტური სპეციფიკური სფერო/აქტივობა და განალაგეთ პრიორიტეტულობის მიხედვით. აქტივობაზე ერთობლივად მუშაობენ უმაღლესი განათლების სასწავლებლები და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები. შეადარეთ TEMPUS პროექტის პრაქტიკის მიერ დადგენილ სფეროებს. ხომ არ არის მათში რომელიმე ისეთი, რომელიც თქვენ გამოგრჩათ. საჭიროების შემთხვევაში, გადახედეთ თქვენს ჩამონათვალს

ტრანსნაციონალური განათლების უზრუნველყოფის სპეციფიკური სფეროები/ფუნდამენტური აქტივობები (პრიორიტეტულობის მიხედვით)	

ამოცანა 5

შესაძლებელია განსხვავდებოდეს უმაღლესი განათლების სასწავლებლებისა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოების მიხედვით.

უმაღლესი განათლების სასწავლებლებისათვის: განიხილეთ თქვენს დაწესებულებაში ადგილზე არსებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის შეთანხმებები, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ ან ახდენენ ტრანსნაციონალურ განათლების უზრუნველყოფის ხელშეწყობას. აღნიშნეთ ისინი, როგორც კარგი პრაქტიკის მაგალითები ან როგორც სფერო, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას.

გარე ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოებისათვის: განიხილეთ თქვენს მარეგულირებელ სისტემაში არსებული გარე ხარისხის უზრუნველყოფის შეთანხმებები, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ ან ახდენენ ტრანსნაციონალური განათლების უზრუნველყოფის ხელშეწყობას. აღნიშნეთ ისინი, როგორც კარგი პრაქტიკის მაგალითები ან როგორც სფერო, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას.

ტრანსნაციონალური განათლების სასწავლებლებისა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოებისათვის: გააზიარეთ წარმოდგენილი აქტივობებით მიღებული დასკვნები, ძირითადი შიდა და გარე შეთანხმებების უკუკავშირითა და მათი თავსებაბოდის დონის შეთანხმებით.

ხარისხის უზრუნველყოფის შეთანხმებათა შედეგიანი პრაქტიკა	ხარისხის უზრუნველყოფის შეთანხმებები, რომლებიც ითხოვს გაუმჯობესებას

მოახლოებული საზღვრისპირა უმაღლესი განათლების/ტრანსნაციონალური განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფა

ქვემოთ წარმოდგენილ შემთხვევათა შესწავლის გადაწყვეტაში მონაწილეებს შესაძლოა გაუჩნდეთ შემდგომი ასპექტების გააზრების სურვილი. ქვემოთ მოცემულ ამოცანებში შემოთავაზებულია შემთხვევის შესწავლის შემდგომი ანალიზი.

ნიმუში: ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ნაციონალური მარეგულირებელი ჩარჩოები

წარმოდგენილია

პროფესიონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ნაციონალური ცენტრის მიერ, სომხეთი

კითხვები

კითხვები თანაბრად რელევანტურია ტრანსნაციონალური განათლების სასწავლებლებისა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების/ორგანიზაციის წარმომადგენელი მონაწილეებისათვის

- არის თუ არა სომხეთის პროფესიონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრის მიერ აღწერილი, ადგილზე არსებული სისტემები იმ სისტემათა მსგავსი, რომლებიც თქვენთვის ნაცნობია. რა შესაბამისობაშია გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიერ გატარებული ინტერნაციონალიზაციისა და ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ქმედებები? შესაძლებელია თუ არა მათი შემდგომი განვითარება? რას შეინარჩუნებდით თქვენი სისტემისათვის?
- შეგიძლიათ თუ არა თქვენი კოტექსტიდან ქვემოთ მოცემული გამოწვევების ამოცნობა ?
- შეგიძლიათ თუ არა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების განვრცობა ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების განტვიცების მიზნით?

პროფესიონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ნაციონალური ცენტრი წარმოადგენს ტრანსნაციონალური განათლების ხელშეწყობ კონტექსტს სომხეთისათვის

ტრანსნაციონალურ განათლებასთან დაკავშირებული მოლოდინი

სტუდენტების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანობა და საერთაშორისოდ აღიარებული განათლების სისტემის დანერგვაა. დამსაქმებელთათვის, ტრანსნაციონალური განათლების ძირითადი მოლოდინი უკავშირდება საერთაშორისოდ აღიარებული კომპეტენციების მქონე სპეციალისტთა მომზადებას, რაც ბიზნესის სტაბილურობისა და ინტერნაციონალიზაციას და ასევე საერთაშორისო კლიენტების მოზიდვის უზრუნველყოფას შუეწყობს ხელს.

სომხეთის სიტუაციის მიმოხილვა

ყველა ტიპის საზღვრისპირა განათლების სასწავლებლები და პროგრამები ლიცენზირებულია სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. დიპლომების გაცემა რეგულირდება სხვადასხვაგვარად უნივერსიტეტების შეთანხმებათა საფუძველზე. ამჟამად, ტრანსნაციონალური განათლების ყველა უნივერსიტეტი გადის აკრედიტაციას და ატესტაციას პროვაიდერის მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელი ქვეყნის უნივერსიტეტები ფლობენ ავტონომიურობას და აქვთ მათი ქვეყნის გათვალისწინებით სტანდარტების შესაბამისად ქმედების შესაძლებლობა, ისინი მაინც ექვემდებარებიან უცხო პროვაიდერი ქვეყნის რეგულაციებსა და სტანდარტებს. გადიან სასწავლებლის აკრედიტაციას უცხო ქვეყნის სტანდარტებით. არ ხდება ლოკალური ასპექტებისა და საკითხების აქცენტირება. არ არსებობს მოთხოვნა პროგრამული დონის აკრედიტაციაზე, რაც პროგრამების ხარისხს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. მსოფლიო ბანკის მიერ 2012 წელს გამოქვეყნებული ანალიზის თანახმად, საზღვარგარეთ განათლებაში ჩართულია 12 000 სტუდენტი (მოსწავლეთა 10 პროცენტი).

ლიცენზირება სომხეთში ხორციელდება ბაკალავრისა და მაგისტრის დონის აკადემიური პროგრამის შესაბამისად, განათლების არსებული სისტემის სახით, (აღსანიშნავია, რომ არ არსებობს დისტანციური სწავლების აპლიკაციები). ლიცენზირების პროცესი რეგულირდება სამი ტიპის მოთხოვნის თანახმად: საბაზისო, რაშიც შედის მასწავლებლების შტატის კვალიფიკაციათა მოთხოვნა, პროგრამული აღწერილობა - სახელმწიფოს სტანდარტების შესაბამისად; კეთილმოწყობა - შენობების აღჭურვილობა და ლაბორატორები.

აკრედიტაცია

სომხეთის რესპუბლიკის უმაღლესი და დიპლომსშემდგომი პროფესიონალური განათლების კანონდებლობის თანახმად, საგანმანათლებლო სასწავლებლები და მათი ფილიალები სომხეთში სომხეთისა და სხვა უცხო სახელმწიფოების თანამშრომლობით არის დაფუძნებული. ყველა უმაღლესი განათლების სასწავლებელი და სხვა ორგანიზაციები თანაბარ საკანონმდებლო ბაზას იზიარებენ. მათ შორისაა სახელმწიფო უმაღლესი განათლების სასწავლებლები, და ლიცენზირებულია სომხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.¹⁰ ეს კანონი გათვალისწინებულია სომხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებში.

სომხეთის გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს მოსდევს ორი ტიპის აკრედიტაცია:

- სასწავლებლის აკრედიტაცია, სამანდატო პროცესი კერძო და საჯარო სასწავლებლებისათვის
- აკადემიური პროგრამის აკრედიტაცია, TLI მესამე დონის საგანმანათლებლო სასწავლებლის მიერ განხორციელებული ნებაყოფლობითი პროცესი.¹¹

აღიარება, აკრედიტაცია და ტრანსნაციონალური განათლება

სახელმწიფო აკრედიტაციის სტატუსის შესაბამისად, სასწავლებლებს (ტრანსნაციონალური განათლების მომწოდებელი სასწავლებლების ჩართვით) შეუძლიათ ინსტიტუციონალური და პროგრამული აკრედიტაციის გავლა უმაღლესი განათლების ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრში

¹⁰ ვრცელი ინფორმაცია იხ. : www.armenic.am/?!aid=1andcom=moduleandmodule=menuandid=97

¹¹ <http://www.anqa.am/en/Portals/0/ANQA%20Accreditation%20Manual.pdf>

რეგისტრირებულ სააგენტოებთან ან სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსზღვრული აკრედიტაციის სააგენტოებიდან. ამის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს სომხეთის პროფესიონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ცენტრს. აკრედიტაციის შედეგები დარეგისტრირდება სახელმწიფო აკრედიტაციის რეესტრის მიერ. თუ სომხეთის პროფესიონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ცენტრს წინასწარ არ ეცნობა ამ პროცესის თაობაზე, შედეგები არ იქნება აღიარებული და გამოქვეყნებული აკრედიტაციის სახელმწიფო რეესტრის მიერ.¹² ტრანსნაციონალური განათლების წარმოდგენილი ტიპები სომხეთში სამ კატეგორიად იყოფა.

- ფრანშიზა
- ერთობლივი/ორმაგი დონე
- ფილიალი კამპუსები
- დამოუკიდებელი ინსტიტუტები
- ვირტუალური უნივერსიტეტი
- შიდასამთავრობო დაწესებულებები (ორი მთავრობა.სხვადასხვა ქვეყნების კერძო სექტორები თანხმდებიან შიდასამთავრობო უნივერსიტეტის დაფუძნებაზე: უნივერსიტეტის აქტივობები რეგულირდება ორივე ქვეყნის კანონმდებლობით და ორივე ქვეყნიდან იღებს ლიცენზიას და აკრედიტაციას.)

გამოწვევები და წინააღმდეგობები

ამ მომენტისთვის სომხეთი გარდამავალ ფაზაშია. არსებობს სახელმწიფო რეგულაციების სისტემატური მიდგომის გარკვეული ფორმა. თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკა უფრო წინ არის წასული, ვიდრე ოფიციალური რეგულაციები. სახეზეა საკანონმდებლო/ნორმატიული აქტები, მაგრამ ჯერ არ მომხდარა კარგი პრაქტიკის დანერგვა მათი დანერგვის შესაბამისად. ტრანსნაციონალური განათლების კვალიფიკაციების აღიარებასთან დაკავშირებული სირთულეები ნაწილობრივ ნაციონალური რეგულაციების სიმწირით, ნაწილობრივ კი ხარისხის კონტროლის ასპექტების ზოგადი გზამკვლელებისა და მიდგომების არარსებობითაა გამოწვეული.

რა უნდა გავითვალისწინოთ:

- ტრანსნაციონალური განათლების შეთანხმებები უნდა ექვემდებარებოდეს უმაღლესი განათლების ეროვნულ კანონმდებლობას როგორც მიმღებ ისე პროვაიდერ ქვეყნებში

¹² <http://www.anqa.am/en/Portals/0/STATUTE%20ON%20STATE%20ACCREDITATION.pdf>

- აკადემიური ხარისხები და სტანდარტები სულ მცირე შეთანხმებული უნდა იყოს დიპლომის პროვაიდერი ქვეყნის სასწავლებლისა და მიმღები ქვეყნის სასწავლებლის სტანდარტებთან.
- უნდა გამოქვეყნდეს ტრანსნაციონალური განათლების სასწავლებლის პოლიტიკისა და მისიის ოფიციალური ანგარიშები.
- დიპლომის გამცემი სასწავლებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს სათანადო, თანმიმდევრული და სანდო.
- შტატის წევრები უნდა იყვნენ მცოდნენი კვალიფიკაციის, სწავლების, კვლევისა და სხვა პროფესიონალური გამოცდილებიდან გამომდინარე.
- დიპლომის გამცემი სასწავლებელი უნდა იყოს პასუხისმგებელი კვალიფიკაციის მინიჭებაზე და უზრუნველყოს ნათელი და გამჭვირვალე ინფორმაციის მიწოდება, დიპლომის დანამატის მეშვეობით.
- სტუდენტთა მიღება ექვივალენტური უნდა იყოს ანალოგიური ან მსგავსი პროგრამების, რომლებსაც ანხორციელებს დიპლომის გამცემი სასწავლებელი.
- ტრანსნაციონალური განათლების მიმწოდებელი სასწავლებლების შემთხვევაში სასურველია ერთობლივი აკრედიტაციის დანერგვა, რადგან შესაძლებელი იქნება უნივერსიტეტების განსხვავებული და ადგილობრივი სპეციფიკაციების გათვალისწინება.

ნიმუში: გარე ხარისხის შეფასების პროცესები, მეთოდები და მოთხოვნები
 წარმოდგენილია
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, საქართველო

კითხვები

კითხვები თანაბრად რელევანტურია უმაღლესი განათლების სასწავლებლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოების/ორგანიზაციების წარმომადგენელი მონაწილეებისათვის.

- მსგავსია თუ განსხვავდება თქვენი კონტექსტისგან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო და მარეგულირებელი კონტექსტი?

- თქვენი აზრით რა გამოწვევები იჩენს თავს ერთობლივი სასწავლო პროგრამების ეროვნულ აღიარებასთან კავშირში, ამ პროგრამების როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ აკრედიტიტაციის შემდეგ?

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მოღვაწეობა საქართველოს მარეგულირებელ ჩარჩოს ეფუძნება.

უმაღლესი განათლების კანონის 49-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი ხარისხის პროგრამების დანერგვა შესაძლებელია ეროვნულ დონეზე აღიარებული უმაღლესი განათლების სასწავლებლის/სასწავლებლების მიერ. ერთობლივად უმაღლესი განათლების იმ სასწავლებლებთან, რომლებიც აღიარებულია უცხოეთის კანონმდებლობით.

ამჟამად არ არის განსაზღვრული ტრანსნაციონალური განათლების პროგრამების სტანდარტები/კრიტერიუმები, გარდა ეროვნულ დონეზე აღიარებული სტანდარტებისა. ამდენად, ერთობლივი პროგრამები აკრედიტირებას ეროვნულ დონეზე გადიან.

აკრედიტაცია

უმაღლესი განათლების პროგრამების ხუთი სტანდარტი:¹³

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის გრძელვადიანი შედეგები, მათი თავსებადობა პროგრამებთან.
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
- სტუდენტების შესრულება და მათთან ინდივიდუალური მუშაობა
- სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა
- ხარისხის სამომავლო გაზრდის პოტენციალი

2015 წლის იანვრისათვის, საქართველოში აკრედიტირებულია 1, 489 პროგრამა, მათგან ერთობლივია მხოლოდ 12 პროგრამა.

მომავალი განვითარება

აკრედიტირებულ პროგრამებს შორის ტრანსნაციონალური განათლების წილი მნიშვნელოვნად მცირეა. თუმცა, ის გათვალისწინებულია აკრედიტაციის სახელმწიფო საგრანტო აღიარებით სხვა ქვეყნებში მიღებული აკრედიტაციის ეროვნულ აკრედიტაციასთან ერთად. ეს აქტივობა გრძელვადიან პერიოდში ხელს შეუწყობს და წაახალისებს სხვადასხვა ტიპის საზღვრისპირა განათლებას.

¹³ უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტები და კრიტერიუმები: <http://eqe.ge/res/docs/2014120816393520902.pdf>

მიმდინარე საზღვრისპირა უმაღლესი განათლების/ტრანსნაციონალური განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფა

ქვემოთ მოცემული ამოცანის გადაწყვეტისას, მონაწილეებს შესაძლოა გაუჩნდეთ შემდეგი ასპექტების გააზრების სურვილი. მომდევნო ამოცანებში მოცემულია შემთხვევის შესწავლის შემდგომი ანალიზი.

ნიმუში: ტრანსნაციონალური განათლების მეთოდები, სტანდარტები, კრიტერიუმები, ინდიკატორები

წარმოდგენილია

სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ერთობლივად WASC უმაღლეს კოლეჯსა და საუნივერსიტეტო კომისიასთან (WSUS), აშშ

კითხვები

კითხვები თანაბრად რელევანტურია უმაღლესი განათლების სასწავლებლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოების/ორგანიზაციების წარმომადგენელი მონაწილეებისათვის.

- მიესადაგება თუ არა სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტის მიერ აღწერილი სისტემები თქვენს კონტექსტს?
- რა სახის გამოწვევებმა შესაძლოა იჩინოს თავი თქვენს მიერ WSCUS აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში? არსებობს თუ არა რაიმე ქმედებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ გამოწვევების შემსუბუქებას?

სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი აკრედიტირებულია WASC უმაღლესი კოლეჯისა და საუნივერსიტეტო კომისიის (WSUS), მიერ

WSUS აკრედიტაცია ნებაყოფლობითია. აკრედიტაციის პროცესი შექმნილია: მტკიცებულებათა კულტურის ჩამოყალიბების, სასწავლებლის გაუმჯობესების ვალდებულების ხელშეწყობის, სასწავლებლის ინტეგრირებულობის დადასტურებისა და უკუკავშირის უზრუნველყოფის მიზნით, რაც თავად აკრედიტაციის პროცესს შეუწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ WSCUS სასწავლებელი აწესებს მინიმუმ სტანდარტებს ხარისხისათვის, მისი ძირითადი მიმართულება საგანმანათლებლო სრულყოფილების ხელშეწყობაა. თითოეული სასწავლებელი იღებს ხარისხისა და სრულყოფილების მახასიათებელთა განსაზღვრისა და მტკიცებულებათა წარდგენის პასუხისმგებლობას. ხარისხისა და სრულყოფილების მიღწევის დადასტურების პასუხისმგებლობასთან ერთად.

აკრედიტაციის პროცესი:

- მიმოხილვის საგანი (სასწავლებლის თვითშეფასება)
- აკრედიტაციის სტანდარტები

- ძირითადი საყურადღებო საკითხების დადგენა (შერჩეული სასწავლებლის მიერ, დადასტურებული აკრედიტორის მიერ)
- ეფექტიანობის დემონსტრირება (ადგილის დათვალიერება)
- აკრედიტირების სტანდარტებთან შესაბამისობის დემონსტრირება
- ძირითადი ვალდებულებები (2013 წლის აკრედიტაციის სახელმძღვანელოს მიხედვით)
- რეკომენდირებულ გაუმჯობესების ღონისძიებებზე ყურადღების გამახვილება
- უკუკავშირისა და გაუმჯობესების შიდა ანგარიშები
- საჯაროობა და გამჭვირვალობა
- საჯარო განაცხადი

სტუდენტების სწავლისა და წარმატებულობის განმტკიცების მიზნით, სასწავლებლებს შემუშავებული აქვთ მკაფიო საგანმანათლებლო მიზნები და სტუდენტთა სწავლების გრძელვადიანი შედეგები. სასწავლებლები აგროვებენ, აანალიზებენ და განმარტავენ სწავლის დადასტურებულ და სანდო მტკიცებულებას, სტუდენტთა მიღწევებისა და წარმატების შეფასების სახით. სასწავლებლები ხელს უწყობენ უკლებლივ ყველა სტუდენტის წარმატებას და იღწვიან სტუდენტთა წარმატების გააზრებისა და გაუმჯობესებისათვის.

უკლებლივ ყველა საგანმანათლებლო აქტივობაში სასწავლებლები იღებენ ხარისხის უმაღლეს სტანდარტებთან შესაბამისობის ვალდებულებას. ისინი სარგებლობენ შესაბამისი მტკიცებულებებით სწავლების, სწავლის და სასწავლებლების საერთო ეფექტიანობის მისაღწევად. სტრატეგიული და ინტეგრირებული დაგეგმარების დახმარებით, სასწავლებლები ახდენენ მათი ამჟამინდელი ვალდებულებების განხორციელებისა და გაუმჯობესების მომავალი საჭიროებებისა და შესაძლებლობების დემონსტრირებას.

სასწავლებლის ინტეგრირებულობა, სტაბილურობა და ანგარიშვალდებულება

სასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ საზოგადოებამ მათ უმაღლესი განათლების ღირებულებებთან ერთგულების კრიტიკული პასუხიმგებლობა და საზოგადოებრივ კეთილდღეობაში წვლილის შეტანის ვალდებულება დააკისრა. ისინი ერთვებიან მყარ ბიზნეს პრაქტიკებში, ახდენენ სასწავლებლის ინტეგრირებულობის დემონსტრირებას, მოქმედებენ გამჭვირვალედ და ახდენენ გარემოებათა ცვლილებებთან ადაპტირებას.

აკრედიტაციის სტანდარტები:

სტანდარტი 1 სასწავლებლის მიზნების განსაზღვრა და საგანმანათლებლო მიზნების განტკიცება

სტანდარტი 2 ძირითადი ფუნქციების მეშვეობით საგანმანათლებლო მიზნების მიღწევა

სტანდარტი 3 რესურსებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების განვითარება და გამოყენება ხარისხისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.

სტანდარტი 4 ხარისხის უზრუნველყოფის ვალდებულების, სასწავლებლის სწავლისა და გაუმჯობესების ვალდებულების მქონე ორგანიზაციის შექმნა

ნიმუში: ტრანსნაციონალური განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფა

წარმოდგენილია

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ, გაერთიანებული სამეფო

კითხვები განსჯისათვის

კითხვები თანაბრად რელევანტურია უმაღლესი განათლების სასწავლებლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოების/ორგანიზაციების წარმომადგენელი მონაწილეებისათვის.

- იქნება თუ არა გაერთიანებული სამეფოს მიმდინარე ტრანსნაციონალური განათლების რეგულაციები სასარგებლო თქვენი კონტექსტისათვის? განმარტეთ პასუხი
- რა სახის გამოწვევებმა შესაძლოა იჩინოს თავი ტრანსნაციონალური განათლების მიმოხილვის ქვეყნიდან ქვეყნამდე მიდგომაში, რომელსაც გარე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო პროვაიდერ ქვეყნაში ახორციელებს?
- რა სახის თანამშრომლობა შეიძლება ჩამოყალიბდეს პროვაიდერი და მიმღები ქვეყნების ორანიზაციებს შორის? რა ტიპის გამოწვევების შეუმსუბუქებას შეუწყობს ეს ხელს? რა სახის სირთულები შესაძლოა გამოიწვიოს?

ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს ტრანსნაციონალური განათლების მიმოხილვას:

ტრანსნაციონალური განათლება გაერთიანებული სამეფოს საგანმანათლებლო სექტორის შემადგენელი ნაწილია. გაერთიანებული სამეფოს დიპლომის მისაღებად სტუდენტთა დაახლოებით 20 პროცენტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ სწავლობს. გაერთიანებული სამეფოს სასწავლებლების დაახლოებით 75 პროცენტი ახორციელებს გარკვეული ტიპის ტრანსნაციონალურ განათლებას. ამ სწავლების ხარისხის შენარჩუნება მნიშვნელოვანია როგორც გაერთიანებული სამეფოს

ტრანსნაციონალური განათლების მაღალი სტანდარტების განტვიცებისათვის, ისე მისი ზრდის ხელშეწყობისათვის.

გაერთიანებულ სამეფოში ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების სასწავლებელთა მიმოხილვის პროცესების დახმარებით ხდება თითოეული სასწავლებლის ტრანსნაციონალური განათლების მიმოხილვა. გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის კოდექსის თავ B10 -ში განსაკუთრებული აქცენტი დასმული სასწავლებლების სხვა სასწავლებლებთან თანამშრომლობაზე და ხაზგასმულია მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ დიპლომის გამცემი სტრუქტურები იღებენ სასწავლო შესაძლებლობების აკადემიური სტანდარტებისა და ხარისხის შესაბამისობის უკიდურეს პასუხისმგებლობას; დამოუკიდებლად იმისგან, თუ სად ხდება მათი მიწოდება და ვინ უზრუნველყოფს მათ. სასწავლო შესაძლებლობათა განხორციელების შეთანხმებები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, გარდა დიპლომის გამცემი ორგანიზაციებისა, უსაფრთხოდ ინერგება და ეფექტურად იმართება. ამ მოლოდინს ახლავს მყარი პრაქტიკის აღმწერი ინდიკატორების სერია. ინდიკატორები ქმნის ტრანსნაციონალური განათლების გზამკვლევს; თავი B10 -ის ინდიკატორები საკუთრივ ტრანსნაციონალური განათლების თანამშრომლობებს შეესაბამება და უზრუნველყოფს განხილვის მტკიცე საფუძველს ამ ტიპის თანამშრომლობების ჩამოყალიბების, განვითარებისა და შეფასებისათვის.¹⁴

ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო ტრანსნაციონალური განათლების ადგილობრივად შესრულებულ მიმოხილვას ამატებს მათი საზღვრისპირა ტრანსნაციონალური განათლების სწავლების მიმოხილვებს. ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო ახდენს ტრანსნაციონალური განათლების მიმოხილვას ქვეყნის კოტექსტზე დაფუძნებული მიდგომით, სადაც სწავლების მოდელი (მაგ. მიმღები ადგილები) ცალკეულ ქვეყანაში (გეოგრაფიულ რეგიონში) მიმოხილვა იმავე საერთაშორისო ვიზიტის განმავლობაში. ეს სისტემა სახეზეა ბოლო 10 წლის განმავლობაში.

ტრანსნაციონალური განათლების მიმოხილვა შექმნილია სწავლების საკითხების დადგენისა და გადაწყვეტის, ასევე საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების წახალისებისა და გაზრდის მიზნით. მისი მიზანია რისკების შემსუბუქება გაერთიანებული სამეფოს სასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. რათა თავიდან იქნას აცილებული საზღვარგარეთ პარტნიორების მეშვეობით სწავლების დაბალი ხარისხის მიღება, და ამავდროულად განვითარდეს გაერთიანებული სამეფოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის თვალსაჩინოება საერთაშორისო მასშტაბით.

ამ ტიპის მიმოხილვის პროცესის შეჯამება შემდგანირად შეიძლება: საწყისი კაბინეტური ანალიზი ხორციელდება რეგიონში იმ ძირითადი უმაღლესი განათლების სასწავლებლების დადგენის მიზნით, რომლებიც მიმოხილვის მთავარ საგანს წარმოადგენენ. შედგომ ამ სასწავლებლებს მოეთხოვებათ საწყისი კაბინეტური ანალიზისთვის მათი სწავლებასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის მიწოდება. ეს დეტალური ანალიზი და მისგან გამომდინარე

¹⁴ ყველა 19 ინდიკატორის პოვნა შესაძლებელია ამ მისამართზე : www.qaa.ac.uk/assuring-standards-and-quality/the-quality-code/quality-code-part-b

მიმოხილვა ხორციელდება შეფასების ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელიც გაერთიანებულ სამეფოშია დაკომპლექტებული. გაერთიანებული სამეფოს სასწავლებლებში ვიზიტები განხორციელდება იმ საკითხების განვრცობის მიზნით, რომელთა შემდგომი დამუშავების სურცილი აქვთ ექსპერტებს.

საზღვარგარეთ ვიზიტი ხორციელდება იმ საკითხების გამოკვლევის მიზნით, რომელთა გაერთიანებული სამეფოდან ადვილად დანახვა შეუძლებელია. დასასრულ, ანგარიშები და შეჯამებები ქვეყნდება მიმოხილვის შედეგებთან ერთად. რომლებიც არა ოფიციალურ შეფასებებს, არამედ სხვადასხვა სახის რეკომენდაციებს მოიცავს.

2014 წლის თებერვალში, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ განხორციელდა მიმოხილვა არაბეთის გაერთიანებულ საემირატოებში გაერთიანებული სამეფოს იმ სასწავლებლებზე აქცენტირების მიზნით, რომლებმაც განავითარეს კამპუსის ფილიალები. მიმოხილვაში ასევე დეტალურად იქნა შესწავლილი ბიზნეს ადმინისტრაციის პროგრამების მიწოდების გზები და განსაკუთრებული აცენტი გაკეთდა ბიზნეს ადმინისტრაციის სამაგისტრო ხარისხებზე. 2014 წლის შემოდგომაზე საზღვარგარე მიმოხილვა ჩატარდა ტრინიდადში (კარბისვისვრცელ რეგიონში) სადაც დეტალურად იქნა შესწავლილი გაერთიანებული სამეფოს დისტანციური სწავლების დეტალები და ის, თუ როგორ შეესაბამება სტუდენტთა სასწავლო გამოცდილებები გაერთიანებული სამეფოს პირისპირ სწავლებაში ჩართულ სტუდენტთა სწავლებას.

ტრანსნაციონალური განათლების მიმოხილვის პროცესთან დაკავშირებული, რამდენიმე ძირითადი გასათვალისწინებელი საკითხი:

- როგორ უნდა მოხდეს გაერთიანებულ სამეფოში სწავლების მიმოხილვის პროცესთან შედეგების დაკავშირება.
- როგორ ვიმუშაოთ, ვიყოთ მგრძობიარენი ადგილობრივი კულტურული და მარეგულირებელი მოთხოვნების მიმართ და შევინარჩუნოთ იმ პროცესის მოქნილობა, რომელიც აცნობიერებს ამ განსხვავებებს.
- როგორ უნდა მოხდეს გაერთიანებული სამეფოს ტრანსნაციონალურ განათლებასთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის აუცილებელი საფუძვლის გამტკიცება, სადაც გათვალისწინებულია სწავლებების ტიპების შეუთავსებლობები და ზოგადი/საერთო განსაზღვრებების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები.

აქტივობა: საზღვრისპირა/ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შეთანხმებები მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში

სესიის მასშტაბი

სხვადასხვა ეროვნული კონტექსტის რეგულაციების გათვალისწინება და გადაწყვეტა, რა ტიპის გასაუმჯობესებელი აქტივობების განხორციელება იქნება აუცილებელი საზღვრისპირა უმაღლესი განათლების/ტრანსნაციონალური განათლების უკეთესი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ჯგუფური აქტივობა

მონაწილეები სამუშაოდ იყოფიან მცირე სამ-ოთხ კაციან ჯგუფებში. ირჩევენ მომხსენებელს.

ამოცანა 1

შეთანხმდით რეგულაციის რომელი ფორმა შეესაბამება თქვენს კონტექსტს. შეთახნდით ქვემოთ აღწერილი რეგულაციების რომელი ფორმა შეესაბამება სომხეთის, საქართველოს, აშშ-ს და გაერთიანებული სამეფოს შემთხვევათა შესწავლას სამომავლო განვითარების გათვალისწინებით; რა სახის რეგულაციებს ისურვებდით თქვენი კოტესტიდან გამომდინარე? პასუხის ახსნა შეგიძლიათ ზემოთ მოცემული შემთხვევის შესწავლასთან მიმართებაში.

უმაღლესი განათლების სასწავლებლები და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები ერთობლივად ერთვებიან ამ აქტივობაში.

მიდგომა რეგულაციისადმი	მნიშვნელობა
მინიმალური რეგულაციები ან რეგულაციების არარსებობა laissez-faire პრინციპი	მინიმალური რეგულაციები ან რეგულაციების არარსებობა მოქმედების თავისუფლება უცხოელი პროვაიდერებისათვის
ლიბერალური	მოთხოვნა უცხოელი პრვიდერების რეგისტრაციაზე / ან გამგზავნი ქვეყნის აკრედიტაციაზე
ზომიერი	რეგისტრაცია და/ან ავტორიზაციაზე თანხმობა პროვაიდერი და მიმღები ქვეყნის წარმომადგენელ კომპეტენტური სააგენტოებისაგან.
შემაკავებელი რეგულაციები	უცხოელ პროვაიდერებს მოეთხოვებათ აკრედიტაციის გავლა მიმღებ ქვეყანაში

	არსებული მიდგომა	მომავალი მიდგომა
მონაწილე 1		
მონაწილე 2		
მონაწილე 3		
სომხეთი		
საქართველო		
აშშ (WSCUC)		
გაერთიანებული სამეფო		

ამოცანა 2

წარმოდგენილი ამოცანა შესაძლოა განსხვავდებოდეს უმაღლესი განათლების სასწავლებლების და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების შემთხვევაში. უმაღლესი განათლების სასწავლებლებისათვის: განიხილეთ ზემოდ მოცემული შემთხვევათა შესწავლა და შეაჯამეთ ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც დაგჭირდებათ თქვენი სასწავლებლის მომავალი განვითარების საქმეში ტრანსნაციონალური განათლების შესაბამისად. რითი იხელმძღვანელებთ ტრანსნაციონალური განათლების შეთახმებების მომავალი განვითარებისათვის? გარე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისათვის: განიხილეთ ზემოდ მოცემული შემთხვევათა შესწავლა და შეაჯამეთ ძირითადი მოთხოვნები, რომელთა განტკიცება გასურთ თქვენი კონტექსტიდან გამომდინარე. რომელ ასპექტებთან მიმხრობა ღირს გარე ხარისხის უზრუნველყოფაში, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ?

ძირითადი საკითხები

--

ამოცანა 3

წარმოდგენილი ამოცანა შესაძლოა განსხვავდებოდეს უმაღლესი განათლების სასწავლებლების და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების შემთხვევაში. უმაღლესი განათლების სასწავლებლებისათვის: გააკეთეთ დასკვნა, შეესაბამება თუ არა თქვენი სასწავლებელი ზემოთ შეჯამებულ მოთხოვნებს. ხომ არ ფიქრობთ, რომ აუცილებელია ახლო მომავალში რაიმე სახის განვითარებების გატარება ამ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად?

გარე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისათვის: გადაწყვიტეთ ღირს თუ არა რაიმე ასპექტის დანერგვა, რომელთა ათვისება/დანერგვა გასურთ თქვენს მეთოდოლოგიაში. ხომ არ გექნებათ კარგი პრაქტიკის მაგალითები პროფესიონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფონდის ეროვნული ცენტრის (სომხეთი), განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, WASC უმაღლესი კოლეჯისა და საუნივერსიტეტო კომისიის, ხარისხის უზრუნველყოფის

სააგენტოს ორგანიზაციებთან გასაზიარებლად, მათი საზღვრისპირა უმაღლეს განათლებასთან/ტრანსნაციონალურ განათლებასთან დაკავშირებული მიდგომების განვითარების მიზნით?

განვითარება - რომელი ასპექტების განვითარება/დანერგვა უნდა მოხდეს	გასაზიარებელი

აქტივობა: რით პასუხობენ უმაღლესი განათლების სასწავლებლები საზღვრისპირა/ტრანსნაციონალური განათლების გარე მოთხოვნებს სესიის მასშტაბი

